# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 აპრილი, 2011 წელი.

№70 (6681)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მთავრობა ფინანსურ პირამიდას ხომ არ თამაშობს?



⑥

## რატომ დატოვა ჯანდაცვის მინისტრმა ორსულები სახელმწიფო დახმარების გარეშე?!

④

## ვინ გამოგვიყვანს ძმებს ურთიერთსიძულვილის ლაბირინთიდან?

### მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ქართველთა და აფხაზთა შერიგება აჭარიდან დაიწყება

***ქვეყნის დაცემა და წახდენა მაშინ იწყება, როცა ერი წინაპართა ტრადიციას ივიწყებს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ კომუნისტური ეპოქის მავნე გავლენაზე, ვერაფრით ვიმართლებთ თავს იმის გამო, რომ ჩვენი წინაპრების არაერთი ბრძნული რჩევა და წეს-წყობა დავიწყებას მივეცით. ასე რომ არ ყოფილიყო, იქნებ არც აფხაზეთი დაგვეკარგა და არც სამაჩაბლო. რუსეთის წამხედურობით, რომელიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკისთვის „უფროსი ძმა“ იყო, ჩვენ, ქართველებმაც მოვინდომეთ საქართველოში უფროს-უმცროსობით გაგვეწყო სახელმწიფო წესი და რიგი. არადა, ხომ ვიცით, როგორ მოიხსენიებს მემატიანე დიდ დავითს — მეფე ქართველთა, აფხაზთა, კახთა, რანთა და ჰერთა ... და ასე შემდეგ. ეს რომ შემთხვევითი არ იყო, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხთა თანასწორობასა და უფლებრივ თანაბრობას მე-12 საუკუნეში ჰქონდა მტკიცე საფუძველი. ამიტომაც იყო მყარი იმ დროის სახელმწიფო.***

თითქმის ოცი წელია ვეძებთ პასუხს კითხვაზე — რატომ დავკარგეთ აფხაზეთი? და ვერც პასუხს მივაგენით და ვერც გამოსავალს. ფაქტია, ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რომელიც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოვიდა, აფხაზებთან და სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებთან საერთო ენა ვერ გამონახა.

რაღა თქმა უნდა, ძმების წაკიდებაში ლომის წილი რუსეთს მიუძღვის. ეს რომ ასე იქნებოდა, ესეც თავიდანვე უნდა გვცოდნოდა და მომზადებულიყავით ამისთვის. ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი. ახლა ურემი გადაბრუნებულია და გზაც ჩახერგილია. გზა-ბაწარას უნდა ჩავეჭიდოთ, საცალფეხოს, უფსკრულზე გადებულს, მაგრამ მაინც ბილიკს. ასეთად კი ერსაც და ბერსაც სახალხო დიპლომატია მიაჩნიათ. ისევ ქართველი და აფხაზი კაცები ერთობლივად თუ გამონახავენ მდგომარეობიდან გამოსავალს. ისევ ისინი თუ უწამლებენ სულ და გულ დაკოდილ ძმებს.

ამ წამლის საძებრად შეიკრიბნენ 24 მარტს უწმინდესთან და უნეტარესთან საპატრიარქო რეზიდენციაში საქართველოში მცხოვრები აფხაზები და ქართველები. შეხვედრის ინიციატორი სოროპტიმისტ ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აჭარის განყოფილება და აჭარაში არსებული აფხაზ უხუცესთა საბჭო იყო. პირველს საზოგადო მოღვაწე ნათელა დუმბაძე, მეორეს აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე, მესამეს კი ჟურნალისტი და მწერალი ანზორ კუდბა ხელმძღვანელობს. აჭარიდან ჩასულ დელეგაციაში აქ მცხოვრები რიგითი აფხაზები და ქართველები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. საპატრიარქოში შეხვედრაზე მოვიდნენ დედაქალაქში და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები აფხაზები, ქართველები, თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

იხ. 3 გვ.

## სააკაშვილის ტყუილი ქვეყანას მილიონ ნახევარი ლარი დაუჯდა

②

## რა შანსი გაუშვა ხელიდან რადიკალურმა ქართულმა ოპოზიციამ

⑤



## ალია და ოსმანა ორივე თათარია



④

## რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს ნიკო ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის საერთაშორისო ფონდი?


მაგთი MAGTI

Geocell

ბილაინი


## ვინ გაიმარჯვებს გამოუცხადებელ ომში?

⑨

## მეღვინეობა: რა იქნება ხვალ?



მურმან ქურიძე:

## კვლავ ღირსეულად კი წარმოვჩნდით, მაგრამ...

⑦



⑪

## ხმა ვულისა

კონფერენცია

# ბირთვული უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის პოლიტიკის ქართულ-შვედური შეფასებები



**საქართველოც და შვედეთიც ის ქვეყნები გახლავთ, რომლებიც ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმში მონაწილეობენ, თუმცა არც ერთს ასეთი პოტენციალი თავად არ გააჩნია. ამის მიუხედავად, უსაფრთხოების გლობალურ საკითხებზე სასაუბროდ გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" სამუშაო შეხვედრა შედგა შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სამსახურისა და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თაოსნობით.**

მონაწილეთა სია საკმაოდ ვრცელი იყო. წარმოდგენილი იყვნენ შვედეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყების პასუხისმგებელი პირები, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **შალვა ბურდული** ამბობს, რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას დიდი გამოწვევები აქვს, რადგან საქართველო ისეთივე უძლური შეიძლება აღმოჩნდეს ბირთვული ტერორიზმის წინაშე, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფო. **„ცივი ომის დროს მსოფლიოს ორ ცენტრს შორის იყო გადანაწილებული ბირთვული პოტენციალი. აშშ და სსრკ მეტ-ნაკლებად არეგულირებენ ამ პრობლემას. ბირთვული შეიარაღების მიზანი იყო შეკავება. თუმცა ბალანსის მიუხედავად საფრთხე, ბუნებრივია, არსებობდა. მას შემდეგ, რაც მოვლენები შეიცვალა, გლობალურმა პროცესებმა, კონფლიქტებმა, თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ტერორიზმმა, საერთაშორისო კრიმინალმა თუ სხვამ ბირთვული იარაღის უკონტროლო გავრცელების ალბათობა გაზარდა. სწორედ საბჭოთა კავშირის დროინდელი გამდიდრებული ურანის გადაზიდვის ფაქტები არაერთხელ ყოფილა საქართველოში, ამდენად პრობლემა ჩვენთვის, როგორც სატრანზიტო ქვეყნისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია",** — აღნიშნა მან.



მსოფლიოში გაეროს უშიშროების საბჭოს 1540 რეზოლუცია არსებობს, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბირთვული გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაა, მაგრამ არიან ქვეყნები, რომლებიც ამბობენ, რომ გაეროს არ ჰქონდა ასეთი დოკუმენტის მიღების უფლება. შვედეთის ელჩმა საქართველოში **დიანა იანსემ** აღნიშნა, რომ **„ბირთვული ქვეყნების ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესი ამ წუთშიც მიმდინარეობს, თუმცა განიარაღებასთან დაკავშირებული საკითხები ჩიხშია შესული. პაკისტანი კატეგორიულად ბლოკავს მოლაპარაკებებს დაშლადი იარაღის კონტროლთან დაკავშირებით. ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმიც კრიზისშია".**

აღსანიშნავია, რომ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს სამი ძირითადი ნიუანსი აქვს, ესენია: იარაღის გაუვრცელებლობა, განიარაღება და მშვიდობიანი მიზნისთვის გამოყენება, თუმცა რომელი ქვეყანა რა მიზნისთვის იყენებს საკუთარ პოტენციალს, ამის გაკონტროლება ატომური ბირთვული შეიარაღების სააგენტოს უჭირს. ითქვა, რომ ამისთვის საჭიროა სისტემური რეფორმები და ბიუჯეტის გაზრდა, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე სააგენტოს არ გააჩნია.

„ფუკუსიმას" ბირთვული რეაქტორის თემას, რომელიც ბუნებრივმა კატაკლიზმებმა გამოიწვია, რა თქმა უნდა, გვერდი ვერ აუარეს, თუმცა ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორმა **გიგა კიკნაძემ** ყურადღება ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე გაამახვილა, რომელიც ასევე სხვა ატომურ ელექტროსადგურებსაც შეეხება: **„დიდი პრობლემაა ის, რომ გამოყენებული საწვავი დიდხანს ინახება იქ, სადაც რეაქტორია განთავსებული, როგორც ეს „ფუკუსიმაში" იყო. ათობით ქვეყანაშია ატომური სადგური და მხოლოდ ხუთი ქვეყანა აწარმოებს საწვავს. მათ გამოყენებული საწვავი უკან არ მიაქვთ, ხარჯების გამო, ამიტომ მომხმარებელი ქვეყნები საწვავს დიდი ოდენობით რეაქტორთან აგროვებენ. ბევრიც საწვავს „იპარავს", მაგრამ ეს რომ უზარმაზარი საფრთხის შემცველია რადიაციული თვალსაზრისით, ესეც უდავოა",** — აღნიშნა მან.

ქართველებმა და ევროპელებმა იმსჯელეს საკითხზე, უნდა იყოს თუ არა ნატოს ბირთვული არსენალი ევროპაში განლაგებული, ევროპელების პოზიცია გაცილებით თავშეკავებულია, ვიდრე ქართველებისა, თუმცა რუსეთის ბირთვული პოტენციალის საფრთხეს არც ერთი არ გამორიცხავს. საქართველოს უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი **ლაშა დარასელია** კი ამბობს, რომ **„ევროპაში ნატოს ბირთვული არსენალის დემონტაჟი არ უნდა მოხდეს, რადგან ნატოსთან პარტნიორობის მცდელობის მიუხედავად, ევრაზიის კონტინენტზე რუსეთი მაინც არასაიმედო პარტნიორია. ამიტომაც მცირე ქვეყნების უსაფრთხოებისთვის გარანტიები უნდა არსებობდეს".**

**კონფერენცია** ორდღიანია. **შეხვედრის ორგანიზატორების თქმით, შვედეთის განსხვავებული გამოცდილება და ისტორია ბირთვული გაუვრცელებლობის სფეროში საქართველოს დაეხმარება ამ საკითხის უკეთ გაგებასა და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებაში.**

**ნია ფიფია**

SIC!

# საქართველოს ნატოში მიღების საკითხი დისკუსიის თემაა

**ნატოს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ალიანსში გაწევრებასთან დაკავშირებით კვლავ ძალაში რჩება, თუმცა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებასთან დაკავშირებით სხვადასხვა კრიტერიუმები არსებობს და „ქართველებმა ეს კარგად იციან". ამის შესახებ მოსკოვში ნატოს საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელმა რობერტ პშელმა განაცხადა.**



„ნატოს გადაწყვეტილება არ შეცვლილა. ჩვენ გვსურს, საქართველო ალიანსის წევრად ვიხილოთ, თუმცა ამისთვის მუშაობა კვლავ საჭიროა. ჩვენ ვეხმარებით საქართველოს. არსებობს კომისია და მოქმედების გეგმა. ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ და სურვილი არსებობს, თუმცა კითხვაზე, როდის გაწევრდება ნატოში საქართველო, პასუხის გაცემა არ შემიძლია", — განაცხადა პშელმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, საქართველო ნატოში ტერიტორიული კონფლიქტების არსებობის პირობებში გაწევრდეს, დიპლომატმა განაცხადა: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ერთ-ერთი ის თემაა, რომლის ირგვლივ მოკავშირეებსა და რუსეთს შორის უთანხმოება არსებობს. ნატოს ქვეყნები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს სრულად უჭერენ, ამიტომ ავტონომიური რეგიონების აღიარება არ იგეგმება. რაც შეეხება გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა იქნეს მიღებული, ეს დისკუსიის საგანია. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ის, რაც მოკავშირეებმა ჯერ კიდევ ბუქარესტში გადაწყვიტეს, კვლავ ძალაში რჩება".

**მაკა ბრეგვაძე**

სანამ ჩვენ ვბაქიბუქობთ!

# „ევროკავშირისთვის სამხრეთ კავკასიაში ფავორიტად აზერბაიჯანი იქცა"

**საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის ბერლინის ფონდის შეფასებით, „ევროკავშირისთვის სამხრეთ კავკასიაში ფავორიტად აზერბაიჯანი იქცა".**

**როგორც ბერლინის ფონდ „მეცნიერება და პოლიტიკის" მკვლევარი უვე ჰალბახი წერს, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ევროპასა და აზერბაიჯანს შორის ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობაზე მახვილდება.**

ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ანალიტიკურ მასალაში „ევროკავშირი-აზერბაიჯანი" აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, ბრიუსელი აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკას ატარებს, აზერბაიჯანი განსაკუთრებულ როლს რამდენიმე მიზეზის გამო თამაშობს.

„პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების ჯგუფში აზერბაიჯანი ერთადერთია, რომელიც გაზისა და ნავთობის მარაგს ფლობს. მეორე მიზეზი ისაა, რომ აზერბაიჯანს პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რაც ალიევების ავტოკრატიული კლანის მემკვიდრეობასთანაა დაკავშირებული. მესამე ფაქტორი კი ისაა, რომ ამ სივრცეში აზერბაიჯანი ერთადერთი მუსლიმანური სახელმწიფოა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, აზერბაიჯანი 92-ე ადგილზეა და რუსეთსა (143-ე ადგილი) და უკრაინას (164-ე ადგილი) უსწრებს. აზერბაიჯანის მზარდი ეკონომიკა მას დაეხმარება, ის პოზიცია დაიკავოს, რომელიც ადრე პოლიტიკური თვალთახედვის გათვალისწინებით, საქართველოს ეკავა", — ნათქვამია სტატიაში.

აქვე აღნიშნულია, რომ „აზერბაიჯანის შიდა ბაზარზე წამყვანი ადგილი ენერგეტიკულ სექტორს უჭირავს და პირველად პოსტსაბჭოთა ათწლეულში, დასავლეთის ინტერესი და კასპიის რეგიონიდან ნავთობის ექსპორტზე კონცენტრირდება".

„ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და „ნაბუქოს" პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში ევროპაში ყოველწლიურად 31 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება მოხერხდება, რაც ამ სფეროში ევროკავშირის მთელი იმპორტის 10%-ია. ამასთან, ოფიციალური ბაქო უფლებას იტოვებს, გადაწყვიტოს, რომელი ბაზრისა და მარშრუტის გავლით მიაწოდოს ევროპას გაზი და ამ მიზნით რუსეთსაც არ გამორიცხავს. მთავარი პრობლემაა, ვინ შეავსებს ნავთობსადენს. აზერბაიჯანის გარდა, თურქმენეთისა და ერაყის ვარიანტებიც განიხილება. ამიტომ 2004 წლიდან ევროკავშირი აზერბაიჯანს სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს" — წერს სტატიის ავტორი.



ამასთან, მისი შეფასებით, აზერბაიჯანის როლი ევროკავშირსა და ცენტრალურ აზიას შორის ურთიერთობებშიც გაიზარდა.

„ბრიუსელში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ევროპის ენერგომომარაგება და რუსეთზე დამოკიდებულების დაძლევა კასპიის რეგიონთან და განსაკუთრებით აზერბაიჯანთანაა დაკავშირებული", — აღნიშნულია საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის ბერლინის ფონდის კვლევაში.

**„პირველი"**

წარუმატებელი წარმატებები

# სააკაშვილის ტყუილი ქვეყანას მილიონ ნახევარი ლარი დაუჯდა

**ნინო ბურჯანაძის პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა" მთავარი საბჭოს წევრის მანანა სალუქვაძის ინფორმაციით, „სააკაშვილის ტყუილი, რომ მსოფლიო პრესა აჭრელებულია სტატიებით საქართველოს წარმატებული პოლიტიკის შესახებ, საქართველოს მოსახლეობას მილიონ ნახევარ ლარამდე დაუჯდა".**

როგორც პარტიის მთავარ ოფისში გამართულ ბრიფინგზე მანანა სალუქვაძემ განაცხადა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა 11 თებერვალს პარლამენტში, ქვეყნის უმაღლესი ტრიბუნიდან, თავის ყოველწლიურ მიმართვაში მორიგი ტყუილი ამაყად გაახმაურა და განაცხადა, რომ „Financial Times"-მა საქართველო კორუფციასთან მებრძოლ ნომერ პირველ ქვეყანად გამოაცხადა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" წარმომადგენელი მათიას ჰუტერი ამბობს, ამერიკულ გამოცემას პრეზიდენტის მიერ ნახსენები სტატია არასოდეს დაუბეჭდავს, თუმცა 2011 წლის 28 იანვარს „Financial Times"-მა თავისი გამოცემის მე-7 გვერდი მთლიანად დაუთმო რეკლამას, რომელიც აცხადებს — „საქართველო — მსოფლიო ნომერი 1 კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით". რეკლამის ფასი, „Financial Times"-ის ფასების პრეისკურანტის თანახმად, სავარაუდოდ, 99,60 ფუნტი სტერლინგია, რაც მიახლოებით 282,000 ლარია. რეკლამა გამოვიდა „Financial Times"-ის ევროპულ და ბრიტანულ გამოცემებში, რაც იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილმა რეკლამაში 135,500 ფუნტი სტერლინგი, ანუ 387,000 ლარი გადაიხადა.

იგივე რეკლამა ხელისუფლების დაკვეთით დაიბეჭდა 28 იანვარს, „Wall Street Journal"-ის მე-7 გვერდზე, სადაც რეკლამის მთელს გვერდზე განთავსება 345,662 ამერიკული დოლარი (614,000 ლარი) ჯდება და ასევე „Economist"-ში, სადაც რეკლამა 90,900 ფუნტი სტერლინგი ანუ 260000 ლარი ღირს.

— ტყუილი, რომ მსოფლიო პრესა აჭრელებულია სტატიებით საქართველოს წარმატებული პოლიტიკის შესახებ, ჩვენს მოსახლეობას მილიონ ნახევარ ლარამდე დაუჯდა. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება, რომელიც სიღატაკეში აცხოვრებს ქვეყნის მოსახლეობის 2/3-ს მილიონებს ხარჯავს საკუთარი რეჟიმის შესანარჩუნებლად შეკვეთილ რეკლამებში, ლობირებასა და პიარში. მივმართავთ მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, მოსახლეობას გასცენ პასუხი ბიუჯეტის რომელ კონკრეტულ მუხლშია გაწერილი აღნიშნული ხარჯები. ხალხს მოთმინების ფიალა აევსო. ჩვენ, „დემოკრატიული მოძრაობა" და „სახალხო კრება" ხალხთან ერთად საკუთარი ღირსების დასაბრუნებლად ერთადერთი და ყველაზე ძლიერი იარაღით — სიმართლით ვიბრძოლებთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ, — განაცხადა ბრიფინგზე მანანა სალუქვაძემ.

**ჯი-ეიჩ-ენ**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ტკივილიანი პრობლემა

# ვინ გამოგვიყვანს ძმებს ურთიერთსიძულვილის ლაბირინთიდან?

## მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ქართველთა და აფხაზთა შერიგება აჭარიდან დაიწყება

(პირველი გვერდიდან)

აჭარაში მცხოვრები აფხაზების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავის თავზე მძიმე ტვირთი აიღეს და აჭარიდან დაიწყეს მოძრაობა, რომელმაც დაკარგულ ძმებს ერთმანეთი ხელახლა უნდა აპოვნინოს. ამ ძებნა-ძიებაში, როგორც ჩანს, აჭარას, უფლის წყალობით, განსაკუთრებული როლი ენიჭება. საქმე ისაა, რომ ჩვენი ქვეყნის უკიდურესი ძნელბედობის ჟამს — მუჰაჯირობისას, მამა-პაპათა მიწიდან რუსეთის იმპერიის მიერ იძულებით აყრილი აფხაზები აჭარის გავლით მიემართებოდნენ თურქეთში თავშესაფრის საძებრად. თავადაც შეჭირვებული აჭარლები მწირ ლუკმა-პურს უყოფდნენ ხიზან აფხაზებს და ძმურად შველოდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ბევრს თავშესაფარიც მისცეს. ოღონდ უცხო ქვეყანაში ნუ წახვალთ, აქვე დარჩით, ერთად გავუძლოთ უბედურებასო, ამხნევებდნენ მასპინძლები მათ. ბევრი დარჩა კიდეც. კერიაც მოაწყო. მათი ქოხებიდან მალე ფუტიც აიკლაკნა ცაში და მამალიც აყივლდა ეზო-კარში. მერე აფხაზებმა დამხვდურებთან მოყვრობაც გააჩაღეს, ერთობლივი ქართულ-აფხაზური ოჯახებიც შექმნეს.

საუკუნეზე მეტია აჭარაში მცხოვრები აფხაზები აქაურ ქართველებთან ერთად ძმურად იყოფენ ლუკმა-პურსაც, ჭირსაც და სიხარულსაც. ამიტომაც ვფიქრობთ ჩვენ, აქაურები, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ცხრაკლიტულის გასაღები, იქნებ, აჭარაში მოიძებნოს. ვინ იცის, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში და თუნდაც სოხუმის დაცემის შემდგომ, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას აჭარის ფაქტორი გონივრულად რომ გამოეყენებინა, იქნებ საქმე საბოლოოდ ასე არ გაფუჭებულიყო. არადა, მე თავად ვარ მოწმე იმისა, აფხაზეთის აფხაზები და აჭარაში მცხოვრები აფხაზები მზად იყვნენ, მოლაპარაკების მაგიდას ქართველებთან ერთად მოსხდომოდნენ, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ დროს ეშმაკმა იძლიერა და გონივრული აზრი ჩაკვდა. სწორედ ეს აღნიშნა საპატრიარქოში შეხვედრაზე ერის სულიერმა მამამ. უწმინდესისა და უნეტარესის იმდღევანდელი ქადაგება არ უნდა დაეკარგოს ერს. ამიტომაც მე დიდ პატივად მივიჩნევ მისი უწმინდესობის სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველამდე მოვიტანო.

**„ალბათ, ეშმაკს შეშურდა ჩვენი და ამიტომაც განვითარდა ის ნეგატიური მოვლენები, რომლებიც მოგვევლინა. ბევრი გვაქვს სათქმელი და ძალიან ვწუხვარ, რომ ამდენი წელი გავიდა და ეს ტკივილი ვერ მოვირჩინეთ. სამწუხაროდ, ისეთი ძალები მოქმედებენ, რომლებსაც სურთ გახლიჩონ საქართველო, დაანაწევრონ ჩვენი სამშობლო და ეს მათ არ გამოუვათ, იმიტომ რომ ჩვენი მფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია და ის არ დაუშვებს ჩვენს დანაწევრებას. ეს არის ღვთისმშობლის მადლი და ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზებს, ისინი ბედნიერები იქნებიან საქართველოსთან, ქართველებთან ერთად. მეც და თქვენც, ალბათ, ვაანალიზებთ, თუ რა მოხდა, რატომ მოხდა ეს ყველაფერი, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. მთიელების ძველი გამოთქმაა ასეთი: „წყალი მიდგება, მოდგება, თავის საგუბარში ჩადგებაო“. და ეს ასეც იქნება, მჯერა...**

**იცით, წმინდა სინოდმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პატრიარქი იყოს მმართველი აფხაზეთისა და ახლა სრული ტიტულია — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმაფხაზეთისა. ძალიან გაუჭირდა რუსეთის ეკლესიას ასეთი ტიტულის მიღება და დღემდე მომდის წერილები, რომლებზეც ისევ ძველი ტიტულია მითითებული. მინდა გითხრათ, რომ არის ასეთი ცნობილი პიროვნება მიხეილ შვიდკოი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი კულტურის მინისტრი. ახლა ის რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველია. ამ დღეებში მე მივიღე მისგან წერილი სრული ტიტულით. ეს ცხადია, შემთხვევითი არ არის, თავისთავად და თავისი ნებით ის ამას ვერ დაწერდა. ეს უკვე პირველი მერცხალია.**

**პრობლემები ძალიან ბევრია, ძალიან ვწუხვარ, რომ ის, რაც ჩვენ გამოვიარეთ, ძალიან მძიმე იყო. იმედი მაქვს, რომ ეს არის გამოცდა ჩვენი, ყველასი და რომ მწუხარება სიხარულით შეიცვლება. ბევრს აღარ გავაგრძელებ, ღმერთმა დაგლოცოთ, გაიხარეთ და ველოდები თქვენს სიტყვას, თქვენს აზრს, თუ როგორ მოვუაროთ ამ ჩვენს ტკივილს, თუ როგორ გავაერთიანოთ, უფრო სწორად, ღმერთი გააერთიანებს საქართველოს. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ღვთის ნებას, კიდევ ერთხელ დალოცვილები იყავით“...**



შეკრებაზე არაერთი აფხაზი და ქართველი გამოვიდა სიტყვით. მათ შორის გია გვაზავა, მიხეილ მახარაძე, ნათელა დუმბაძე, მარინა ხანთაძე, ვანო პაპუნიძე, ჯამბულ ანჩაბაძე, გეიდარ ფალავანდიშვილი, სვეტლანა ქეცბა, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული ქმრისა და შვილის დამტირებელი, სულგაუტეხელი ქალბატონი მარინა გზირიშვილი, ირმა ოსია (ეს ქალბატონი პირველი აფხაზი ქალი იყო, რომელიც 1973 წელს სოხუმში პატრიარქმა მონათლაძ...

შეკრებილებში ქართველ-აფხაზთა შერიგების იმედი მოსკოვის უნივერსიტეტის მხცოვანი პროფესორის, 88 წლის ფერიდე აცამბას წერილმაც გააძლიერა. იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამ დღეებში გამოუგზავნა წარმოშობით ბათუმელმა აფხაზმა ქალბატონმა და ქართულ ენაზეა დაწერილი. წერილი შეკრებილთ ფერიდე აცამბას შვილიშვილმა ანიმ გააცნო. გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან.

**„... ჩვენი ქვეყნის ამ ტრაგიკულ ისტორიაში დამნაშავეთა სხვა ქვეყანაში ძებნა არასასურველია. ჩვენი შეცდომების მიზეზი ისევ ჩვენა ვართ. უნდა ვიზრუნოთ, რომ ერთად მოვძებნოთ გზები ამ ჩიხიდან გამოსასვლელად. თქვენო უწმინდესობავ, ამ მამულიშვილურ საქმეში ყველაზე დიდი იმედი თქვენ ბრძანდებით. დარწმუნებული ვარ, ისტორიული სამართლიანობა თქვენი ლოცვა-კურთხევით აღდგება — კაცობრიობას სიყვარული გადაარჩენს, სიყვარული კი საერთო უნდა იყოს, ის მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებს შორის კი არა, არამედ ყველა ხალხში უნდა ცოცხლობდეს“**

ამ დღეს ბათუმელი აცამბების ღირსეული ოჯახის ღირსეულმა წევრმა, შუა ხნის ალექსანდრე აცამბამ გადაწყვიტა, რომ მზადაა ქრისტეს გზას შეუდგეს და თხოვა უწმინდესსა და უნეტარესს, რომ იგი მონათლოს. შეკრებილებმა პატრიარქს რუხის საგუშაგოსთან სამლოცველოს აგებაზე კურთხევა სთხოვეს. ჰაიდარ აბაშიძის შთამომავალმა, მხატვარმა ქეთევან მაღლაკელიძემ განაცხადა, რომ იგი მზადაა, უანგაროდ მოხატოს ტაძარი, სადაც ქართველთა და აფხაზთა ერთად ყოფნაზე ილოცებენ.

წინამდებარე წერილი დედით ქართველისა და მამით აფხაზის ანზორ კუდბას გამოსვლის ტექსტით მინდა დავასრულო. ოღონდ, სანამ ამ გამოსვლას შემოგთავაზებდეთ, ორიოდ სიტყვას აჭარაში მცხოვრებ აფხაზ უხუცესთა თავკაცზეც გეტყვით. ანზორ კუდბას ცოლად შუახეველი ნიჟარაძეების ქალი ჰყავს. ჩინებული ოჯახი აქვს. მე და ანზორი აჭარის რადიომაუწყებლობის კომიტეტში 19 წელიწადს გვერდი-გვერდ ვეწეოდით ჟურნალისტურ საქმიანობას. მაშინ შეიქმნა მწერლის პირველი მოთხრობები და რომანები. მართალი გითხრათ, მან შემაყვარა აფხაზები. მისმა კაცობამ და ქართველთა მიმართ სიყვარულმა, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა სიბრძნემ განაპირობა ეს ისტორიული შეხვედრა, რომელიც აუცილებლად უნდა გახდეს შემობრუნების წერტილი აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობაში. საპატრიარქოში შეკრებილებს ანზორ კუდბამ ასე მიმართა.

**— ღმერთმა ინება, რომ დედა ქართველი მყოლოდა და მამა — აფხაზი. ჩემნაირები კი ასე ბევრია ჩვენში.**

**და როცა აირია ქვეყანა და ძმა ძმას სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოვჩნდებოდით ჩვენ — შერეული ოჯახების შვილები, ვისაც ძარღვებში ქართული და აფხაზური სისხლი გვიდიოდა.**

**ხომ ტრაგიკული იყო ის ძმათამკვლელი ომი ჩვენთვის ყველასთვის, სრულიად საქართველოსთვის, მაგრამ იგი ჩემთვის ორმაგად ტრაგიკული გახლდათ: კვდებოდა ქართველი აფხაზის ხელით და მიკვდებოდა სულში ქართველი, კვდებოდა აფხაზი ქართველის ხელით და მიკვდებოდა ახლა აფხაზი; თითქოს ძმათა სასაფლაო ყოფილიყოსო სული ჩემი.**

**მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ იმ ძმათამკვლელი ომის იარები დღესაც შეუხორცებელია; არ მორჩენია აფხაზს მაშინ დაკოდილი სული, არ მორჩენია ქართველს მაშინ ჩაკლული სული. ის სირცხვილეული წლები დღესაც წარუშლელია ჩვენს მეხსიერებაში. დიდი ტკივილი ბუდობს გაღმაც, გამოღმაც.**

**დღესაც უბრად ვართ ძმები, ერთი მიწის შვილები, ჩვენ ხომ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია, ვერა და ვერ მიგვიტევებია, სამწუხაროდ, ერთმანეთისთვის ცოდვანი ჩვენი: საკუთარი ცოდვებიც ვერ მოგვინელებია და ასე როდემდე?**

**ერთნიც და მეორეც გამოსავალს ვეძებთ ამ სიძულვილის ლაბირინთიდან, მაგრამ ამაოდ.**

**ვინ მოინანიოს, ვინ მოუტევოს პირველმა, ვინ გადადგას პირველი ნაბიჯი, ვის აღმოხდეს პირველად, მომიტევეო, ძმაო, მე ვინანიებ ... საძიებელია ის გზა-ბილიკი, ერთმანეთისკენ რომ უნდა დაძრას ორი მონანიე სული.**

**და ის ადგილი, საიდანაც უნდა გაიჭრას ეს გზა-ბილიკი. აქვეა, ჩვენთან, ეს ღვთის სახლი, რომლის დიდი მასპინძელი და ერის სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა.**

**ალბათ, ღვთის ნებაა, რომ ჩემში უკვე მოხდა დიდი შერიგება, ღვთის ნება და ნება და სურვილი ჩემი, მოუნანიებიათ და ერთმანეთისთვის მიუტევებიათ ქართველს და აფხაზს, ძმობისა და სიყვარულის სასახლე აღმართულა ჩემს სულში, სადაც ერთად ლოცულობენ ქართველი და აფხაზი. მალე ამოვა სრულიად საქართველოს მზე. ასე უნებებია მაღალ ღმერთს: ყოვლის შემძლეს, ყოვლის მხილველსა და ყოვლის მომცველს.**

**და კიდევ: ღმერთმა ინება ისევ და ვიყავი საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი და 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოვაწერე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ღვთიური საქმე აფხაზეთისა და აფხაზობის გარეშე ხდებოდა: ვაწერდი ხელს ამ ღვთაებრივ აქტს და ვაცნობიერებდი, რომ ამას ვაკეთებდი აფხაზეთისა და აფხაზობის სახელით!“**

**ბოლოთქმა:** ავბედითი 1993 წლის აგვისტოს ბოლო დღე ილეოდა. მაშინ აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვიყავი. დირექტორი გიორგი თარგამაძე გახლდათ. აფხაზეთიდან ავის მომასწავებელი ამბები მოდიოდა. ჩვენი კორესპონდენტი მარინა კუპრეიშვილი მესამედ იყო წასული ფრონტის ხაზზე რეპორტაჟის მოსამზადებლად. არ ვუშვებდით, მაგრამ არ დაგვიჯერა, დაიჟინა და წავიდა. ამჯერად ოპერატორიც არ წაუყვანია. ერთ კვირაზე მეტი გასულიყო და მისგან არაფერი ისმოდა. იმ დროს მობილური არ იყო, ხაზის ტელეფონით კი აფხაზეთში კი არა, თბილისში დარეკვა ჭირდა. ბევრს ვეცადეთ მე და გიორგი, მაგრამ სოხუმს ვერ დავუკავშირდით. კიდევ ერთხელ ვთხოვე კავშირგაბმულობის ოპერატორ გოგონებს, სოხუმში ჯუმბერ ბეთაშვილს დამაკავშირეთ-მეთქი. იგი მაშინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი იყო. სულგანათლებული, ჟიური შარტავასთან ერთად დახვრიტეს გადამთიელებმა. მას ვერ დამაკავშირეს, მაგრამ მითხრეს, სოხუმიდან ვიღაც ბათუმელი ჩაერთო კავშირში და თქვენთან საუბარი სურსო. მოხალისე მებრძოლი გამოდგა. სიტყვა-სიტყვით მახსოვს მისი თხოვნა. „ბათუმში ჩემიანებთან დაკავშირება ვერ შევძელი. სოხუმში ვართ, ალბათ ცოცხალი ვერ გამოვაღწევ, აქ ისეთი ბრძოლებია. ბიჭი მყავს სასკოლო, ჩემთან სახლში მხოლოდ ქალები არიან, არადა, შეპირებული ვიყავი, ჩამოვალ და მე მიგიყვან სკოლაში-მეთქი. ხომ იცი, კაცი რომ ეხლება პირველ დღეს, თანატოლები სხვანაირად შეხედავენ, პატივისცემით მოეპყრობიან. ქენი სიკეთე და ხვალ სკოლაში შენ მოიყვანე. იამაყებს, კაცთან ერთად მოვედიო“. პირობა მივეცი ასე მოვიქცევი-მეთქი და თხოვნაც დავაყოლე, იქნება ჩვენი კორესპონდენტის ასავალ-დასავალი გაიგო-თქო. იმ დღესვე მივედი მითითებულ მისამართზე. ოჯახს მებრძოლის დანაბარები გადავეცი. მეორე დღეს ბიჭი ხელჩაკიდებული შევიყვანე ბათუმის მაშინდელი პირველი საშუალო სკოლის საკლასო ოთახში და მერხზე დავსვი. გადიოდა ხანი. სოხუმი დაეცა. ბათუმელი მებრძოლი ცოცხალი იყო თუ მკვდარი, არავინ იცოდა. ბიჭს ხშირად ვაკითხავდი სკოლაში. მის ამბავს ვკითხულობდი. მამამისი არც იმ 52 ქართველ ტყვედყოფილ მებრძოლთა შორის აღმოჩნდა აჭარის მაშინდელი ხელისუფლებისა და ბათუმელი აფხაზების ჩარევით აფხაზებმა რომ გადმოსცეს ბათუმს (აკი ვთქვი მაშინ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო-მეთქი — ა. კ.)

ერთხელაც, სკოლაში რომ მივაკითხე, ბიჭი გახარებული დამხვდა. მამა ჩამოვიდა, დაჭრილია და სახლში წევსო. იმავე დღეს ვეწვიე ნაბრძოლ ვაჟკაცს. ბიჭი თავთან ეჯდა და ჟამიდან ჟამზე ფაიფურის ჩაიდანით წყალს ასმევდა მამას — ასეა, სკოლიდან რომ მოვა მამამისს არ სცილდებაო, მითხრა დიასახლისმა. მერე დაჭრილი გამოჯანმრთელდა. ცხოვრება თავისი გზით წავიდა. მხოლოდ მან იცის, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა მაშინ მის გულში და რა მოგონებები დარჩა.

ამირან კილურაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“
აჭარა-გურიის საკორესპონდენტო
ბიუროს ხელმძღვანელი.

**P. S. კინაღამ დამავიწყდა.** ჩვენი კორესპონდენტი სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა. ლოთი ქობალიას ჰყოლოდა ტყვედ. იმ მებრძოლისა და აჭარიდან ჩარევის შემდეგ გამოეშვა პოლკოვნიკს ჟურნალისტი ქალი.

ის ბიჭი, მე რომ სკოლაში მივიყვანე იმ პირველ სექტემბერს, ახლა 25 წლისაა. ჩიტმა ამბავი მომიტანა, ბათუმელი აფხაზი გოგო შეჰყვარებიაო. ისიც მითხრეს, ეს ამბავი, ალბათ, ტრადიციული ქართულ-აფხაზური ქორწილით დამთავრდებაო. ღმერთმა აბედნიეროთ!

ნეტავ, მე თუ დამპატიჟებენ ქორწილში?

ა. კ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ თაოსნობა

# საგანძური, რომელსაც ყველანი უნდა გავუფრთხილდეთ

## რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს ნიკო ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის საერთაშორისო ფონდი?

**ეს ფონდი, რომლის დამფუძნებლები არიან ანზორ მაძღარაშვილი, ბიძინა ბარათაშვილი, თეიმურაზ ჩალაბაშვილი, ვლადიმერ ზახარიანი , რევაზ რურუა, მურმან ჭანიშვილი და ვაგიფ სახტაროვი, 2010 წელს დაარსდა.**

ფონდის მიზანია, შეისწავლოს გენიალური მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სახვითი მემკვიდრეობა, მემორიალური ადგილები, დაეხმაროს როგორც მირზაანის, ისე თბილისის მუზეუმებს მატერიალური ბაზის გაფართოება-კეთილმოწყობაში, ექსპონატების შეძენაში...

იზრუნოს საერთაშორისო ხელოვნების ცენტრის დაარსებისთვის, მიკროტურიზმის განვითარებისთვის, ქიზიყური ყოფისა და ტრადიციების შენარჩუნებისთვის, ქართული სოფლის აღორძინებისთვის, რაც სათანადოდ არის წარმოჩენილი ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში.

ფონდი შეეცდება, სოფლად ხელი შეუწყოს იმ დარგების განვითარება-აღორძინებას, რომელთაც ნიკო ფიროსმანაშვილის დროს ქვეყნის განვითარებაში საპატიო ადგილი ეკავა. მით უფრო, რომ დღეს ამის შესრულება შესაძლებელია, რადგან მთავრობამ მიიღო ჯეროვანი გადაწყვეტილება ქართული სოფლის აღორძინებისთვის.

ფონდს გადაწყვეტილი აქვს, გამოსცეს ნიკო ფიროსმანაშვილის შედარებით სრული კატალოგი, რაც განპირობებულია იმით, რომ უკანასკნელ წლებში მრავალმა, კერძო მესაკუთრეთა ოჯახებში დაცულმა ნამუშევარმა, შეიცვალა მისამართი. ბევრი მათგანი საქართველოდან გავიდა. „კამეჩი“, „ბატების გამრეკავი გოგონა“, „სოფლის ეზო“, „შავი ლომი“ და სხვა საქართველოში აღარ არის, როგორც ვიცით, ეს ყველაფერი მოსკოვშია. დღეისათვის, ჩვენი ვარაუდით, რუსეთში ნიკო ფიროსმანაშვილის 20-ზე მეტი ნამუშევარია.

ყველანაირად ვცდილობთ, რომ ფონდიდან სპეციალისტები მივავლინოთ მოსკოვში, რომლებიც ნამუშევრებს ადგილზე ნახავენ, შეისწავლიან და კატალოგისთვის მასალებს ჩამოიტანენ.

კატალოგის გამოცემისთვის ვქმნით ავტორიტეტულ კომისიას. დიდი სურვილი გვაქვს, დავაარსოთ ლაბორატორია, რომლის მეშვეობითაც ტექნოლოგიურად გამოვიკვლევთ ბოლო წლებში აღმოჩენილ ნამუშევრებს. საერთოდ არსებობს კვლევის 2 მეთოდი – ხელოვნებათმცოდნეობრივი და ტექნოლოგიური.

პირველი სახით კვლევა ხელოვნებათმცოდნის ინდივიდუალურ, სუბიექტურ, ვიზუალურ შთაბეჭდილებაზეა დაფუძნებული. ტექნოლოგიური კვლევა კი ეფუძნება მეცნიერულ მეთოდებს, რომლებიც იძლევიან ნამუშევრის ფიზიკური და ქიმიური მდგომარეობის ობიექტურ სურათს. მეცნიერულად დგინდება გამოყენებული მასალის რაობა, ეს მასალა შეუდარდება ეტალონურ ნიმუშებს, დგინდება ნამუშევრის ასაკი.

და სწორედ კვლევის ამ ორი მეთოდის შეთანხმებით მიეკუთვნება ესა თუ ის ნამუშევარი ამა თუ იმ ავტორის...

დღეისათვის არსებობს ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ოთხი კატალოგი:

**პირველი 1926 წელს** შეადგინეს და გამოსცეს ტიციან ტაბიძემ, კირილე ზდანევიჩმა და სხვებმა. კატალოგში მოთავსებული ნამუშევრები დათარიღებულია შეძლებისდაგვარად, მითითებულია სურათის პირველი მფლობელი. კატალოგს ერთვის ნამუშევრების სამენოვანი სია (ქართული, ფრანგული და რუსული). მასში 50 შავთეთრი და 5 ფერადი ილუსტრაციაა.

**მეორე კირილე ზდანევიჩის** 1965 წელს გამოცემული „ფიროსმანაშვილია“. კატალოგს ერთვის კირილე ზდანევიჩის გამოკვლევა, ლადო გუდიაშვილის წინასიტყვაობა. 17 ფერადი და 51 შავთეთრი ილუსტრაცია და 273 ნამუშევრის სია.

**მესამე 1984 წელს „ავრორას“** მიერ გამოცემული კატალოგი ერასტი კუზნეცოვის გამოკვლევითა და ქეთევან ბაგრატიშვილის მიერ შედგენილი 217 ნამუშევრის კატალოგით, ბიბლიოგრაფიით, გამოფენის და დაკარგული ნამუშევრების სიით.

კატალოგი გამოვიდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე.

**მეოთხე გახლავთ 2010 წელს** თენგიზ მირზაშვილის შედგენილი კატალოგი.

სამწუხაროდ, ბატონი თენგიზი ვერ მოესწრო მის გამოცემას. კატალოგი სამენოვანია (ქართული, რუსული, ინგლისური). 234 ფერადი ილუსტრაციით. იგი გამოსცა საგამომცემლო კომპანია „ჯი ეთ თი“ ჯგუფმა. სამწუხაროდ, კატალოგში მრავალი უხეში შეცდომაა.

დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს, რომ ოთხივე კატალოგი შეჯერდეს, ნამუშევრების ადგილმდებარეობა დაზუსტდეს; კარგი იქნება, თუ მუზეუმში დაცულ ნამუშევრებს მიეთითება ინვენტარის ნომერი, დაერთვის სურათების მოკლე ისტორია და აღწერილობა ნამუშევართა მდგომარეობის შესახებ.



სააღდგომო სუფრა

საილუსტრაციოდ მკითხველს უნდა შევთავაზო ფონდის მიერ შესწავლილი და კატალოგში მოთავსებული ნამუშევრებიდან ერთ-ერთი.

ავტორი: ნიკო ფიროსმანაშვილი (სავარაუდოდ 1862 X 1918.

დასახელება: „სააღდგომო სუფრა“.

მასალა: დერმანტინი, დაწებებული ფანერაზე, ზეთი.

წარწერები: „Христос воскресс“. „ქრისტე აღდგა“.

თარიღი: „1913, 13 апрьл.

დამკვეთი: „Вано марковь“.

ეს ნამუშევარი მოთავსებულია მხოლოდ თენგიზ მირზაშვილის მიერ შედგენილ კატალოგში 232 ნომრითა და ილუსტრაციით.

ნახატი გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა იმდროინდელ წითელწყაროს რაიონში. ივანე მარკოვს 25 წელიწადი უმსახურია ნიჟნიგოროდსკის დრაგუნთა პოლკში, რომელიც განლაგებული ყოფილა თუქურმიშაში (დღევანდელი დედოფლისწყარო). შემდგომში ამავე სოფელში დასახლებულა და იქვე დაოჯახებულა. მისი ვაჟი გადასულა საცხოვრებლად თბილისში მალაკნების ქუჩაზე. იგი თურმე პირადად იცნობდა ნიკო ფიროსმანაშვილს და უთხოვია აღნიშნული ნამუშევრის დახატვა. სურათი რესტავრირებულია. საგაზეთო წერილში რთულია ამა თუ იმ ნახატის მთელი ისტორიის წარმოდგენა. ყველა სავარაუდო სურათს ჩაუტარდება ტექნოლოგიური და ვიზუალური გამოკვლევა. კატალოგში მოთავსებულ ნამუშევრებს ექნება დართული ამომწურავი ინფორმაცია. ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების მფლობელებს ვთხოვთ, რომ მოგვაწოდონ სათანადო მასალა.

ყველა დაინტერესებულ პიროვნებასაც მოვუწოდებთ, ამ საშვილიშვილო საქმეში მიიღოს მონაწილეობა.

**ფონდის რეკვიზიტებია:**

**სს „საქართველოს ბანკში“ კლიენტის ანგარიშზე თანხების ეროვნულ ვალუტაში (ლარი) ჩარიცხვისთვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები**

**მიმღების ბანკი:**

**სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“.**

**ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502.**

**მიმღების დასახელება: ნიკო ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის გადარჩენის ფონდი.**

**მიმღების ანგარიშის ნომერი: 508485500**

**ტელ: 444-964**

**ელ ფოსტა: idgebuadze@bog.ge**

**ანზორ მაძღარაშვილი,**
ფონდის თავმჯდომარე, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი

◉ უსუსური გადაწყვეტილება

# რატომ დატოვა ჯანდაცვის მინისტრმა ორსულები სახელმწიფო დახმარების გარეშე?!

## ბიუჯეტი დაზოგა თუ დემოგრაფიას „დაარტყა“?

**ჯანდაცვის მინისტრის ერთმა „უბრალო“ ბრძანებამ ბევრი ქალბატონის ცხოვრების წესი შეცვალა. ვგულისხმობ იმ ორსულებს, რომლებიც ელოდნენ, რომ მათი ორსულობის კონსულტაციების ხარჯებს სახელმწიფო დააფინანსებდა, მაგრამ უეცრად, ათიოდე დღის წინათ კანონში შესულმა „უწყინარმა“ ცვლილებამ, ისინი ასეთი მომსახურების გარეშე დატოვა.**

ანდრია ურუშაძის განკარგულებით 6 აპრილს ძალაში შევიდა ბრძანებულება, რომლის მიხედვით სახელმწიფო დახმარების ვაუჩერი მიეცემათ 13 კვირამდე ორსულ ქალბატონებს, არადა იქამდე აღრიცხვაზე აყვანა და შესაბამისად უფასო კონსულტაციების გაწევა მხოლოდ 13 კვირის ორსულობის შემდეგ იყო გათვალისწინებული. ამ ცვლილებამ ის გამოიწვია, რომ ბევრისთვის ინფორმაცია არ იყო ცნობილი, ამიტომ იმათ, ვინც თუნდაც ერთი კვირის დაგვიანებით მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს, უთხრეს, რომ პროგრამაში ვერ მოხვდნენ. ბრძანება ბრძანებაა და გამოსავალიც არ არსებობის იმის გარდა, რომ ორსულებმა საკუთარი და ბავშვის ჯანმრთელობა თავად დააფინანსონ. ხოლო რა დაუჯდება ქალს თუნდაც ერთი ვიზიტი ექიმთან, ქართული სამედიცინო სფეროს რეალობიდან გამომდინარე დასკვნის გაკეთება, ალბათ, არავის გაუჭირდება.

ბუნებრივია ახალი გადაწყვეტილების გამო ძალიან შეწუხებული არიან ქალბატონები და ჩივიან. სააგენტოს მოსაცდელში საკუთარ გულისტკივილსა და გულსწყრომას ხმამაღლა გამოთქვამენ, მაგრამ ფაქტია, რომ დახმარების იმედი საბოლოოდ გადაწურულია. აი, რას ამბობს ერთ-ერთი ქალბატონი: – **„ექიმთან პირველ კონსულტაციაზე როცა მივედი, მხოლოდ თვენახევრის ორსული ვიყავი. მაშინ გინეკოლოგთან ერთ ვიზიტში 35 ლარი გადავიხადე, ექოსკოპიაში – 45 ლარი. ამის შემდეგ ექიმმა რამდენიმე ანალიზის გაკეთება მთხოვა. როცა პრეისკურანტში ჩავიხედე, აღმოჩნდა, რომ 4 ანალიზი 87 ლარი დამიჯდებოდა, რასაც ჩემი ბიუჯეტი უკვე ველარ გაწვდებოდა, ამიტომ მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზი გავიკეთე და დანარჩენებს თავი გავანებე. მაშინ ექიმმა გამაფრთხილა, რომ მასთან მეორედ 13 კვირის ორსულობის შემდეგ მივსულიყავი, რადგან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 4 უფასო კონსულტაცია მერგებოდა, მაგრამ 13 კვირამდე აღრიცხვაზე ვერ აგიყვანო. ბუნებრივია, ამ ვადის გასვლის შემდეგ 14-15 კვირის ორსულობის პერიოდში მივაკითხე ექიმს, მაგრამ მეუბნება ვერაფრით დაგეხმარები, რადგან ორიოდე დღის წინათ მივიღე მინისტრის ბრძანება და სახელმწიფო აღრიცხვაზე 13 კვირამდე ორსულები უნდა ავიყვანოო. მართალია, ამის გამო ძალიან შეწუხდა, მაგრამ მისი თანაგრძნობა ჩემთვის რა საშველია“...**

რა არის ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი? – ლოგიკა მარტივია – ბიუჯეტის სახსრების დაზოგვა. სხვა ახსნა მას არ მოეძებნება. 13 კვირის, ანუ სამი თვის და ერთი კვირის ორსულობა ქალბატონებისთვის ისე დგება, რომ ექიმთან მისვლას ვერც ახერხებენ, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არა აქვთ გარკვეული, ორსულობის თუ ჯანმრთელობის სხვა პრობლემა აქვთ. მით უფრო, თუ ხანდახან მატერიალურადაც უჭირთ. მერე კი ყველაფერი დაგვიანებულია... ნამდვილად არ ვიცი, რამდენი დაუზოგა ბიუჯეტს ასეთმა აბსურდულმა ცვლილებამ, მაგრამ ის კი ვიცი, რამდენს დაკარგავს ჩვენი ქვეყანა, ისედაც ძალიან მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფი. სახელმწიფოს საზრუნავი უპირველეს ყოვლისა სწორედ ჯანსაღ მომავალ თაობაზე ზრუნვა უნდა იყოს და არა ის, როგორ გამოიზოგოს სახსრები იმ დროს, როცა ყველაზე მეტად დასახარჯია. ჯანმრთელი დედა, ჯანმრთელი ნაყოფი – ჯანმრთელი თაობაა, მაგრამ ვინ იცის ეს იმაზე უკეთ, ვიდრე ჯანდაცვის მინისტრმა?!

გასულ კვირას ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქციის წევრმა, დეპუტატმა მაგდა ანიკაშვილმა სახელმწიფოსგან მოითხოვა არა მხოლოდ ოთხი, არამედ სავალდებულო ექვსი კონსულტაციის დაფინანსება.

იხ. 7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალია და ოსმანა ორივე თათარია

**რუსეთის მმართველ ელიტაში მიმდინარე პროცესებზე, ვინ შეიძლება იყოს რუსეთის მომავალი პრეზიდენტი და რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოსთან ურთიერთობებზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, რუსეთის ეთნოპოლიტიკური და რეგიონალური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელ ემილ პაინს ესაუბრა.**



# საქართველოსთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პუტინი გახდება პრეზიდენტი, თუ კრემლში კვლავ მედვედევი დარჩება

**— ბატონო ემილ, ამა თუ იმ საკითხზე პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ-მინისტრ პუტინის განცხადებები სულ უფრო განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ მანამდე ექსპერტები მათ შორის მხოლოდ „სტილისტურ განსხვავებებზე“ საუბრობდნენ, ახლა იკვეთება მათ შორის მსოფლმხედველური განსხვავებები. ბევრი მიიჩნევს, რომ რაც მედვედევსა და პუტინს შორის ხდება, დაპირისპირების იმიტაციაა. თქვენი აზრით, რა ხდება მმართველ ტანდემში?**

— განსხვავებები მართლაც მჟღავნდება. რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, მით უფრო გარდაუვალია ორ ადამიანს შორის განსხვავებული პოზიციებისა და განსხვავებულობის გამოვლინება. ისინი ღვიძლი ძმებიც რომ იყვნენ, განსხვავებული პოზიციებისა და შეფასებების დაფიქსირება მაინც გარდაუვალია. აშკარაა, რომ მედვედევი და პუტინი განსხვავებული ეპოქების, ისტორიის, ბიოგრაფიისა და ნაწილობრივ გარემოცვის ადამიანები არიან. ახლა ეს გარკვეულწილად უფრო შესამჩნევი გახდა. გამოიკვეთა, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო საკითხები, რომლებზეც პრეზიდენტის პოზიცია უფრო ლიბერალურად ხასიათდება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მათ მიერ განსხვავებული პოზიციების აღნიშვნა თამაში არ არის და მათ შორის დაპირისპირება მსოფლმხედველურ შეხედულებებს უკავშირდება?**

— ჯერ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მათ შორის დაპირისპირებაა. ჯერ აშკარაა მხოლოდ ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული პოზიციების ღიად დაფიქსირება. რაიმე სახის დაპირისპირებაზე საუბარი, ყოველ შემთხვევაში ახლა, ჯერნაადრევია.

**— პრეზიდენტმა მედვედევმა ჩინური ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მზად არის, მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ თავად და პუტინს ამის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. იმავე ინტერვიუში მან პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ტანდემის წევრებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე სხვადასხვა ხედვა აქვთ. თქვენი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებზე რომელი მათგანი იყრის კენჭს?**

— ეს სულ მალე გაირკვევა. სავარაუდოდ კენჭს ის იყრის, ვისაც რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში მეტი მხარდამჭერი ეყოლება. ცნობილია, რომ პუტინს უფრო ძალოვანები და გარკვეული ოლიგარქიული წრეები უჭერენ მხარს, ხოლო მედვედევს – რეფორმებზე ორიენტირებული ოლიგარქები. მედვედევმა რეფორმების გატარების მოტივით ძალოვნები როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ისე თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, საკმაოდ დაასუსტა, მაგრამ ჯერ გაურკვეველია, როგორი იქნება პოლიტიკურ ელიტაში ძალთა თანაფარდობა იმ მომენტისთვის, როცა მედვედევმა და პუტინმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მმართველი ტანდემის წევრები ერთი და იმავე პოლიტიკური გუნდის წევრები არიან. ფაქტია, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა იყოს მიღებული, რუსეთის მმართველი გუნდი, ჩინოვნიკები და ოლიგარქები სწორედ ამ გადაწყვეტილებას დაუჭერენ მხარს და ყველაფერს გააკეთებენ თავისი ფავორიტს გასამარჯვებლად.

**— მედვედევისა და პუტინის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით გაურკვევლობის გამო რუსეთის მმართველ ელიტაში აზრთა სხვადასხვაობა, შიში და დაბნეულობა შეიმჩნევა. ყველას ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე გავიდეს დარჩენილი 5-6 თვე, რის შემდეგაც უნდა გაირკვეს, ვინ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებზე. სხვათა შორის, ერთმა ექსპერტმა ისიც არ გამორიცხა, რომ არჩევნებში ორივე მიიღებს მონაწილეობას . . .**

— ჯერ ძნელია რამეს თქმა. ჯერჯერობით, არჩევნებში ორივეს მონაწილეობა გამორიცხულია. ამიტომაც არის, რომ ტარდება სოციოლოგიური კვლევები. სხვათა შორის, იმასაც იკვლევენ, რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში ორივე მიიღებს მონაწილეობას. კვლევების მიხედვით, უკეთესი მაჩვენებლები პუტინს აქვს. ყველა გამოკითხვიდანაც ჩანს, რომ არჩევნებს პუტინი იგებს. არა მგონია, მედვედევსა და პუტინს შორის განსხვავება იმდენად შესამჩნევია, რომ ორივემ მიიღოს გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ და ადამიანები, რომლებიც მათ უკან დგანან,



ორივეს მონაწილეობას არ დაუშვებენ. ეს მათთვის საკმაოდ დიდი რისკი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ვიღაც მესამემ გაიმარჯვოს.

**— ბევრი იმასაც ამბობს, რომ მათ შორის განსხვავებულობის ინიცირება სწორედ მესამის არგამოჩენაზეა გათვლილი...**

— მე ამ მტკიცებაში ლოგიკას ვერ ვხედავ. მესამე ყველა შემთხვევაში გამოჩნდება. „კომუნისტური პარტია“ აუცილებლად დააყენებს თავის კანდიდატს. ჩემი აზრით, არჩევნებზე აუცილებლად იქნება წარმოდგენილი რადიკალური პროდასავლური ოპოზიციის კანდიდატიც. ამიტომაც ვამბობ – მტკიცება, თითქოს მედვედევი და პუტინი იმის გამო კამათობენ საჯაროდ, რომ პრეზიდენტობის მესამე კანდიდატი არ გამოჩნდეს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

**— ბატონო ემილ, თქვენ სტატიაში — „რუსულ-ქართული კონფლიქტის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები“, რომელიც თბილისში გამოცემულ წიგნში „რუსეთი-საქართველო — კრიზისიდან გამოსვლის გზებში“ დაიბეჭდა, აღნიშნავთ, რუსეთმა ლიბერალური იმპერიის მშენებლობაზე აიღო გეზიო. თქვენი აზრით, როგორ აისახება კრემლის ლიბერალური იმპერიის მშენებლობის სტრატეგია საქართველოზე?**

— ლიბერალური იმპერიის იდეის მხარდამჭერებს მე ყოველთვის ვეკამათებოდი. ამ საკითხზე ამავე იდეის ავტორ ანატოლი ჩუბაისთან საჯარო კამათი მქონდა. ეს კამათი აღწერილია ჩემი წიგნის – „იმპერიასა და ნაციას შორის“ დამატებაში. ყოველთვის მივიჩნევდი, რომ ლიბერალური იმპერია დაახლოებით ისეთივე ოქსიუმორონია (ურთიერთგამომრიცხავი ცნებების შერწყმაძ, როგორც მაგალითად, „პატიოსანი ქურდი“ – „იმპერია“ და „ლიბერალიზმი“ ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია.

**— თქვენი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, კრემლი პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ სწორედ ლიბერალური იმპერიის მშენებლობის პოლიტიკას ატარებს. თქვენი აზრით, როგორ აისახება კრემლის ლიბერალური იმპერიის მშენებლობის სტრატეგია საქართველოზე და რა შედეგებია მოსალოდნელი?**

— რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არანაირი ისეთი ფაქტორები არ შეიმჩნევა, რომელსაც შესაძლოა, დათბობა მოჰყოლოდა. რუსეთში არიან იმპერიული ძალები, რომლებსაც ლიბერალიზმთან არაფერი საერთო არა აქვთ. რუსეთში იმპერიული ძალები ლიბერალიზმის მთავარი მოწინააღმდეგები და მტრები არიან. ისინი თავისუფლების იდეის რეალიზებას, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში ეწინააღმდეგებიან. მათთვის საქართველოს საკითხი დღეს რიგით 225-ე ადგილზეა. მათი პირველი მტრები კი ისინი არიან, ვინც რუსეთში თავისუფლების დამკვიდრებისთვის იბრძვის. სწორედ ეს ადამიანები გამოდიან დღეს საქართველოსთან ყოველგვარი ურთიერთობების დათბობის წინააღმდეგ.

თქვენს მიერ ნახსენებ ჩემს სტატიაში ვამბობ, რომ 2008 წლის აგვისტომდე რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელები ისეთ პოლიტიკას ატარებდნენ, რამაც გამოიწვია გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ქართული და რუსული მატარებლების ერთ ლიანდაგზე დაჯახება. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. არც მოსკოვს და არც თბილისს არ გადაუდგამთ ისეთი ნაბიჯი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გვეთქვა – ერთი მხარე მეორეზე ჭკვიანია. 2008 წლის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს ხელმძღვანელობაში იგივე ხალხია, ვინც 2008 წლის აგვისტოში იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველა ფაქტორი, რამაც ჩვენ კონფლიქტამდე მიგვიყვანა, კვლავ სახეზეა და, შესაბამისად, სამწუხაროდ, უახლოეს მომავალში რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პოზიტიურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

**— აშკარაა, რომ კრემლში პუტინის დაბრუნების შემთხვევაში საქართველოსადმი რუსეთის პოლიტიკა კიდევ უფრო გამკაცრდება და პრაქტიკულად თბილისისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გახდება რუსეთის პრეზიდენტი — მედვედევი თუ პუტინი...**

— ჯერჯერობით, საქართველოსადმი კეთილგანწყობა პრეზიდენტ მედვედევსაც არ გამოუხატავს. ძნელი სათქმელია, საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება ჰქონდეთ თუ არა მათ განსხვავებული ხედვები. რუსეთის საგარეო და საშინაო საკითხებზე მათი დამოკიდებულება შესაძლოა, ჯერ არც ისე ძლიერად, მაგრამ მაინც განსხვავდება, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში პუტინსა და მედვედევს შორის განსხვავებული პოზიციების დაფიქსირება ჯერ არ შემინიშნავს. თუ საქართველოს ხელმძღვანელობაში იგივე ძალები დარჩებიან, ვინც ახლაა, საქართველოსთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პუტინი გახდება პრეზიდენტი, თუ კრემლში კვლავ მედვედევი დარჩება.

**კობა ბენდელიანი**

## ვარაუდი

**The Jamestown foundation არაბულ სამყაროში მომხდარ არეულობებზე ქართული ოპოზიციის რეაქციას ვრცელ სტატიას უძღვნის და აღნიშნავს, რომ „რადიკალურმა ქართულმა ოპოზიციამ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე პოლიტიკური კაპიტალის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვა“.**

**„არაბულ სამყაროში მომხდარმა არეულობამ საქართველოს პოლიტიკური ოპოზიციის ორ ნაწილში კონტრასტული რეაქცია გამოიწვია. არასაპარლამენტო რადიკალური ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა შეფერილობისანი არიან, როგორც ჩანს, რეჟიმის შეცვლის კიდევ ერთი კამპანიის დაწყებას აპირებენ, საპარლამენტო ოპოზიცია კი, თავის მხრივ, უარს ამბობს საქართველოში რევოლუციური მეთოდების გამოყენებაზე, აქცენტი საარჩევნო პროცესზე გადააქვს და მომავალი წლის არჩევნებისთვის ემზადება“ – წერს The Jamestown foundation -ის მიმომხილველი, ექსპერტი ვლადიმირ სოკორი.**



# „რადიკალურმა ქართულმა ოპოზიციამ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე პოლიტიკური კაპიტალის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვა“

მისივე შეფასებით, **„იმ დროს, როდესაც დასავლეთში არაბულ არეულობას რეალურ დემოკრატიულ ტალღად აღიქვამენ, საქართველოში რეჟიმის ცვლილების სერიული მცდელობის მოყვარულთ უფრო ცინიკური პოზიცია აქვთ“.**

**„ამ ჯგუფების ლიდერები იმედოვნებენ, რომ უკანონო ქმედებები მთავრობას ძალის გამოყენებას აიძულებს. მათი გათვლით, მოვლენათა ასეთმა განვითარებამ მთავრობას შინ ლეგიტიმურობა და, რაც მთავარია, დასავლეთის მხარდაჭერა შეიძლება, დააკარგვინოს“** – თვლის ექსპერტი და აქვე აღნიშნავს, რომ **„ეს ტაქტიკა ქართული შეურიგებელი ოპოზიციური ჯგუფებისთვის ახალი არ არის“.**

**„ზოგიერთმა ეს 2007 და 2009 წლებში უკვე გამოიყენა. სიახლე კი ამჯერად სიტყვა „რევოლუციის“ ღიად გამოყენება, სისხლისღვრაზე უპრეცედენტო და არაორაზროვანი მინიშნება და არაბული მოვლენებიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გამოტანაა, რომ დასავლეთი პრო-დასავლური მთავრობის მიერ ძალის გამოყენებას ვერ გაამართლებს“,** – წერს სტატიის ავტორი და აქვე დასძენს, რომ **„საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიცია საზოგადოებისგან იზოლირებულია და პოლიტიკურ მეინსტრიმში მოკავშირეთა ნაკლებობის გამო იმ ოპოზიციურმა პარტიებმა გადაწონეს, რომლებიც ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში ოპერირებენ“.**

იხ. 7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვაი მთავრობისგან

# მთავრობა ფინანსურ პირამიდას ხომ არ თამაშობს?

**რატომაც არა, ჭკუა დაუშლის თუ ნამუსი შეაწუხებს? ამ ხელისუფლებამ არჩევნების ჩატარებისას პირამიდების შენების იმხელა გამოცდილება მიიღო, რომ თავის დროზე ეგვიპტელ ფარაონებსაც შეშურდებოდათ. თანაც, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საფინანსო სფეროში პირამიდის მშენებლობა გაცილებით იოლია, ვიდრე მწვავე საარჩევნო ბატალიების პროცესში, ამ „სარფიან" საქმეში მთავრობას ხელი რომ წაუცდეს, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს. მით უფრო ახლა, როცა გლობალური კრიზისის პირობებში, ხელისუფლებას საკუთარი მილიარდების შოვნა იმდენად არა, მაგრამ ნახევრად დამშეული ხალხის გამოკვება ნამდვილად უჭირს.**



ლაპარაკია ვალებით პირამიდის თამაშის ცნობილ მეთოდზე, რომელსაც მარტო მთავრობა კი არა, საქართველოში რიგითი ბიზნესმენებიც (თუკი შეიძლება ამას ბიზნესი დავარქვათ) იოლად ახერხებენ. რამდენიმე მათგანს პირადადაც ვიცნობ. ერთი ასეთი ნაცნობი, მაგალითად, რომელსაც ვალების ბიზნესი აქვს, ერთთავად გაჭედილ მდგომარეობაშია — ახალი აღებული ვალით წინა ვალს ისტუმრებს, მერე ისევ იღებს ვალს, რომ როგორმე თავი ირჩინოს და ასე გრძელდება დაუსრულებლად (ორჯერ ვალების გასასტუმრებლად ბინის გაყიდვამაც მოუწია). ამის მიუხედავად, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, ყოველთვის იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე შემოსავალი აქვს და ნიადაგ ვალებშია ჩაფლული. ასეა ჩვენი ხელისუფლებაც, ხელგაშლილი ცხოვრება უყვარს და ერთთავად ვალების მორევში უწევს ყურყუმალაობა.

ეს შეიძლება ზოგს ხუმრობად მოეჩვენოს, მაგრამ სახუმროდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2013 წლისთვის გადასახდელი გვაქვს 1 მილიარდ 300 მილიონი ლარის ვალი, რაც თავის დროზე შევარდნაძის კი არა, სწორედ ამ ხელისუფლების მიერ გაწეული „ღვაწლის" ნაყოფია. როგორც ჩანს, მთავრობას ესეც ეცოტავა და ახალი ევროობლიგაციების გამოშვებით 500 მილიონი დოლარის დამატებითი ვალი წამოიკიდა. ეს კიდევ არაფერი, ხალხი ბრმა-ყრუებად ჩაგვთვალა და იმის მაგივრად, რომ დარცხვენილმა გველაპარაკოს, აქეთ გვეტრაბახება — ნახეთ, რა მაგრები ვართ, ახალი ვალის აღებით ძველი ვალის გასტუმრების პრობლემაც იხსნება, საბანკო სექტორიც ძლიერდება და ინვესტორთა დაინტერესებაც ერთიორად იზრდებაო(!):

ახალი ევრობონდების გამოშვებით განსაკუთრებით პრემიერი ნიკა გილაურია აღფრთოვანებული. მისი აზრით, ევროობლიგაციების გამოშვებით საქართველოს საგარეო ვალის პრობლემა 2021 წლამდე აღარ ექნება. ობლიგაციები არის 10-წლიანი ვადით და ის ვალდებულება, რომელიც 2013 წლისთვის უნდა დაგვდგომოდა, 2021 წლისთვის გადაიწევს. ხედავთ, რამხელა შეღავათია ჩვენი ეკონომიკურად დაუძლურებული ქვეყნისთვის? და ამ შეღავათის ავტორი თავად მთავრობა გახლავთ!

ამავე აზრისაა ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი (სხვა აზრისა არც შეიძლება იყოს, რადგან „ერთიანი გუნდის" წევრები არიან), რომელიც აცხადებს, რომ საქართველომ ევროობლიგაციები საკმაოდ დაბალ პროცენტში გამოუშვა, ძალზე მომგებიანი პირობებით. ის მთლიანად მოხმარდება 2008 წელს გამოშვებული ობლიგაციების რეფინანსირებას და, აქედან გამომდინარე, ვალის გაზრდაზე საუბარი არანაირად არ შეიძლება. თანაც ამ ვალის მომსახურების პროცენტი წინაზე გაცილებით დაბალია, ხოლო უცხოელი ინვესტორების დაინტერესება — მაღალი, რადგანაც მათ 7-პროცენტიანი მოგების შანსი ეძლევათ.

ოპოზიციას, როგორც ყოველთვის, ახლაც არ სჯერა მთავრობის და ცდილობს რაღაც ხრიკებით დაადანაშაულოს, და თუ მომენტი იპოვა, აშაყიროს კიდეც. მაგალითად, ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან ვეფხვაძე ირონიული ღიმილით ეკითხება კახა ბაინდურაშვილს — იქნება ამიხსნათ, ბატონებო, რა გაქვთ საამაყო, ის, რომ ვალში წლიური 7 პროცენტი უნდა გადავიხადოთ, რაც წელიწადში ნიშნავს 35 მილიონი დოლარის მომსახურებას, თუ ის, რომ ადრინდელ 500 მილიონი დოლარის ვალს კიდევ 500 მილიონს ვამატებთ და ვალს ამით ვისტუმრებთო? ან ინვესტორები რით დაგვხარბდებიან, იმით, რომ ვალებით გაძეძგილი ქვეყანა ვართო?

აქვე ჩნდება კითხვა, რომელსაც გვერდს ვერაფრით ავუვლით: სად და რაში დაიხარჯა ის 500-მილიონიანი ევროობლიგაციების ვალი, რომელიც საქართველომ ზურგზე ჯერ კიდევ 2008 წელს წამოიკიდა? ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის დარად, მაშინდელ პრემიერ გურგენიძესაც მოსწონდა თავი საკუთარი „შემოქმედებით" — ნახეთ რა თანხის ობლიგაციები გავასაღეთ ევრობაზარზე, თანაც ძალდატანებით კი არა, სულ ტაციაობა ჰქონდათო. ვერ ვიტყვი, რომ გურგენიძეს „ღვაწლი" დაუფასდა, იმ ობლიგაციების შემდეგ მალევე დაატოვებინეს პოსტი, თუმცა დღემდე ფართო საზოგადოებისთვის ამოუხსნელ განტოლებად დარჩა, ის 500 მილიონი დოლარი კონკრეტულად რას მოხმარდა? თუ არ მოეშვი და ძალიან მიაწექი, მაშინვე აგვისტოს ომს მივარდებიან, ვერ ნახეთ, რუსეთი ყაჩაღურად შემოგვივარდა, ტერიტორიებიც წაგვართვა და ეკონომიკაც გაგვინადგურა, რომლის აღდგენას, როგორ ფიქრობთ, ცოტა ფული სჭირდებაო? მოკლედ, იმ ომმა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების „გამარჯვებით" დასრულდა, მას ბევრ სხვა დანაშაულთან ერთად ევროობლიგაციების ვალიც „ჩამოაწერა".

კარგით, „ჩამოწერილ" საქმეს რაღა ეშველება, მაგრამ მთავრობა ახლაც რომ ასაიდუმლოებს სამომავლოდ ევროობლიგაციებიდან შემოსული თანხის ხარჯვის ობიექტებს? კი ამბობს, ძველი ვალები უნდა გავისტუმროო, მაგრამ როგორც ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ლადო პაპავა აცხადებს, აუცილებელია, წინასწარვე იყოს გაწერილი და საზოგადოებისთვის საჯაროდ ცნობილი, თუ კონკრეტულად რას მოხმარდება სესხად აღებული თანხები. რას მოხმარდება და, ხელისუფალთა ამოუყორავ მუცელს. ვეღარ დაძღა ამათი მუცლები, — ამბობს ხალხი, ამ ფულსაც ისევე შეახრამუნებენ, როგორც ძველად აღებულ ვალებსო.

**პირდაპირ პარადოქსია — ხელისუფლება პოლიციის ოფისებს გამჭვირვალე მინებით აგებს, ხოლო მილიონებს და მილიარდებს, რაც ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობასა და ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, თავქარიანივით ანიავებს. არადა როგორც თვითონ ამბობენ, ქამრები ისე აქვთ მოჭერილი, ლამის წელები გადასწყდეთ.**

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## „საქართველოს რკინიგზას" პროკურატურაში უჩივიან

**კახა კუკავას ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო" პროკურატურას შპს „საქართველოს რკინიგზის" საქმიანობის შესწავლისაკენ მოუწოდებს.**

**შესაბამისი აქცია-ბრიფინგი „თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლებმა გუშინ მთავარ პროკურატურასთან გამართეს. მათ მთავარი პროკურორის სახელზე განცხადებაც შეიტანეს, რასაც, „საქართველოს რკინიგზის" მიერ განხორციელებული ფინანსური დარღვევების დამამტკიცებელი დოკუმენტაციაც დაურთეს.**

**„თავისუფალი საქართველო" მოითხოვს, ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა შეისწავლონ, რამდენად კანონიერად განკარგავს „საქართველოს რკინიგზა" მისთვის გამოყოფილ თანხებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ბრიფინგი

## იაპონური რადიაცია საქართველოსთვისაც საშიშია

**„საქართველოს მწვანეთა პარტიის" ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ რადიაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. „რადიაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებულია გარემო, საკვები პროდუქტები, წყალი. თუ პრობლემა სასწრაფოდ არ მოგვარდა, უახლოეს პერიოდში ამ კატასტროფამ შეიძლება თავისი მასშტაბით ჩერნობილს გადააჭარბოს",** — აღნიშნა მან.

შემაშფოთებელია, რომ ისტორია მეორდება და რადიაცია სულ უფრო და უფრო დიდ მანძილზე ვრცელდება. რადიაციამ უკვე თურქეთსაც მიაღწია. ცივილიზებული ქვეყნები ცდილობენ, მაქსიმალურად დაიცვან მოსახლეობა რადიაციისაგან. აქედან გამომდინარე, „მწვანეთა პარტია" კატეგორიულად მოითხოვს, რომ: საქართველოს მთავრობამ მედიაში გამოაქვეყნოს დეტალური ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი საფრთხისა და რადიაციული მდგომარეობის შესახებ, დროებით აიკრძალოს საქართველოში იაპონური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი, განსაკუთრებით სასურსათო. წინააღმდეგ შემთხვევაში „მწვანეთა პარტია" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს. ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტებზე ავარიის ან უბედური შემთხვევების შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯებაც კი თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნათია კახიძე**



განსჯა

## მეტიჩრობა რუსთავიორულად!

**10 აპრილს წლისთავი შესრულდა დიდი სმოლენსკური ტრაგედიიდან — პოლონურ ლაინერს რომ კატასტროფა შეემთხვა და იმ ქვეყნის მთელი პოლიტიკური ელიტა დაიღუპა, პრეზიდენტისა და პირველი ქალბატონის ჩათვლით, თვითმფრინავის ეკიპაჟთან ერთად.**

რასაკვირველია, ამხელა უბედურებასთან დაკავშირებულ თარიღს ჯეროვნად გამოეხმაურებოდნენ პოლონელები — თვით ვარშავაში, დედაქალაქში და „ადგილობრივ სმოლენსკში ჩასვლითაც; ოღონდ ვაიმე, რომ ეჭვი მომიგზავნა ჯოჯოხეთმა და დავფიქრდი, რამდენად საჭირო იყო ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის მხრივ ჟურნალისტების მივლინება ამ ქალაქებში — სმოლენსკში (თენგიზ გოგოტიშვილისა) და ვარშავაში (თამარ ნუცუბიძისა); ან რა სავალდებულო: ჩვენს ინტერნეტულ თუ ვებგვერდებიან ხანაში, როცა ინფორმაციულობა ასეთ მაღალ ტექნიკურ დონეზეა და ამბები ელვის უმალ ვრცელდება მთელს მსოფლიოში, ისეთი რა უნდა გადმოეცათ ან ერთსა და ან მეორეს, სამივლინებო ხარჯებად (უთუოდ არცთუ მცირე), რომ ღირებულიყო; ჩემი ეჭვი თუ დაფიქრება, მგონი, უსაფუძვლო არ უნდა იყოს: ამჟამინდელი საქართველო რომ სვეკეთილი ქვეყანა იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ასეთიდან რომ საკმაოდ შორსაა? ეგ „რუსთავი-2" თუ დოლარებში ისე ბანაობს, რომ თავს ამგვარი ფუფუნების — ტელეჟურნალისტთა ნაირ-ნაირი მივლინების უფლებას აძლევს, იქნებ თანხების უფრო სასარგებლოდ, უფრო ნაყოფიერად გამოყენებაზე გამეცადინებულიყო...

ნაირ-ნაირი ტყუილად არ მითქვამს: 10 აპრილიდან ორი დღეც არ გასულა, რომ მინსკის მეტროშიც მოხდა ტრაგედია, მეტად სამწუხარო და დიახაც, ვისგანაც ჯერ არს, გამოსახმაურებელი, მაგრამ ისევ საკითხავია — „რუსთავი-2"-ს იქაც უნდა გაეგზავნა „სამივლინებო პირი"? (იგივე თამარ ნუცუბიძე); ასე ოპერატიულად შემორჩენილ საქართველოში მომხდარ უბედურ შემთხვევებს (ჯვარი აქაურობას!) თუ ეხმიანებიან, ნეტავი?..

ადრე, გაგახსენებთ, ეგვიპტეში, ქაიროშიც მიავლინა მაგ ტელეარხმა ყოჩაღი თანამშრომელი მუმუ-მუ-მუ-მუბარაქის წინააღმდეგ ამბოხების გასაშუქებლად და მოგაგონებთ, რა გააშუქა და რა გადმოსცა: ქაიროს ცენტრში დაახლოებით სამი ტანკი და დაახლოებით ხუთი ჯავშანმანქანა დგასო. სამამდე და ხუთამდე რომ ზუსტად ვერ დაუთვლია, ისეთ კაცს მივლინებას ნუ მიუსჯით, სამივლინებო სახსრებს რომ შევეშვათ (თუმცა ჩვენ შეშვება-არშეშვებას ვინა გვკითხავს...).

ის არა კმარა, რომ პარლამენტარები და სხვა ხელისუფალნი სტრასბურგებში, ჟენევებში თუ ვენებში რომ ჯგუფ-ჯგუფად დაფრინავენ, ვითომ რამეს მიკეთებდნენ; რომ „მიდიან, მოდიან და ასე ჰგონიათ"...

კაცო, პოლიციის შენობები თუ გამჭვირვალე გავხადეთ, ისიც „გავამჭვირვალოთ", რა უჯდება ამდენი წასვლა-წამოსვლა, ხელისუფალთა თუ ტელეჟურნალისტთა, ამ გაღატაკებულ, საცოდავ საქართველოს, ზოგისთვის სახელმწიფოდ შემდგარსა და ზოგისთვისაც შეუმდგარს...

**ბერდია ბედოიძე**

# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ვარაუდი

# „რადიკალურმა ქართულმა ოპოზიციამ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე პოლიტიკური კაპიტალის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვა“

(მეხუთე გვერდიდან)

**„ეს პარტიები საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან, რომელიც 2012 წელს უნდა ჩატარდეს, მაგრამ პარლამენტს მიღმა მყოფი შეურიგებელი ოპოზიცია ვარაუდობს, რომ მოხდება რევოლუცია, რომელიც მთავრობას ძალით შეცვლის და ვადამდელი არჩევნების აუცილებლობას წელსვე შექმნის“** – წერს სოკორი.

ამასთან, იგი **„შეურიგებელი ოპოზიციის“ დანაწევრებულობაზე საუბრობს. „მასში შედიან „სახალხო კრება“, რომელიც 8 სხვადასხვა ჯგუფისგან შედგება, „ქართული პარტია“ – სახალხო კრების კონკურენტი, ჯგუფი „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“, რომელსაც ცოლ-ქმრის ბადრი ბიწაძისა და ნინო ბურჯანაძის ტანდემი უდგას სათავეში (სასაზღვრო დაცვის ყოფილი ხელმძღვანელი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე) და კიდევ რამდენიმე ჯგუფი. ბიწაძემ და „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ მიუნჰენის აეროპორტში სახალხოდ იჩხუბეს, ერთმანეთს ბრალს სდებდნენ და უარყოფდნენ ღალატს“** – წერს სოკორი და აქვე დასძენს, რომ „ამ ჯგუფებმა ეკონომიკურ სიდუხჭირეზე პოლიტიკური კაპიტალის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვეს“.

ამ კონტექსტში იგი საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას მიმოიხილავს. **„საქართველოს ეკონომიკამ კრიზისი გადალახა და გაჯანსაღება დაიწყო, მისი მშპ ამჟამად 6%-ით იზრდება და მოელიან, რომ ზრდის ეს ტემპი სულ ცოტა, წელს მაინც შენარჩუნდება. თუმცა ინფლაცია სერიოზულ პრობლემად რჩება. მან გასულ წელთან შედარებით, პიკს – 14%-ს თებერვალში მიაღწია, მაგრამ არსებობს პროგნოზი, რომ წლის განმავლობაში ის ერთნიშნა ციფრებამდე დავა. მთავრობამ ამ პროცესს გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის საკვები ვაუჩერების დარიგებითა და პენსიების ინდექსაციით უპასუხა“** – წერს სოკორი და ასკვნის, რომ **„საკვებ და სხვა პროდუქციაზე მსოფლიო ფასების ზრდის გავლენას საქართველოზე ოპონენტები მთავრობას იოლად ვერ გადააბრალებენ“.**

**„შეურიგებელი ოპოზიცია „გადამწყვეტი“ გამოსვლებისა და დემონსტრაციების დაწყების დღედ სხვადასხვა თარიღს ასახელებს (9 აპრილს, 24 აპრილს, 2 მაისს). მაგალითად, ბურჯანაძე აპირებს, „მთავრობას მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე წასვლა აიძულოს“ და იმ შემთხვევაში, თუ „ისინი ხელს აღმართავენ, სასტიკი პასუხით“ ემუქრება“. იმავე სულისკვეთებით „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი საუბრობას. იგი „მთავრობის დასაფრთხობად ძალის ჩვენებას“ მოითხოვს და „შესაბამისი პასუხით“ იმუქრება, თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს. ამასთან, შეურიგებელ ჯგუფებს მასობრივი აქციებისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ აქვთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთი ინციდენტის მოწყობას აპირებენ, რომელიც პოტენციაში ესკალაციას გამოიწვევს“** – წერს სოკორი და აქვე დასძენს, რომ **„ზოგიერთი ქართველი შიშობს, რომ რუსეთმა ასეთ შემთხვევაში შეიძლება, ლიბიაში დასავლეთის ინტერვენცია მაგალითად მოიშველიოს და საქართველოში „ხალხის დასაცავად“ შემოიჭრას“.**

**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ თავისი ეს წუხილი თბილისში ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოხატა. თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ და „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, რომელსაც სათავეში ირაკლი ალასანია უდგას, ის მთავარი ოპოზიციური პარტიებია, რომლებიც ინსტიტუციური სისტემის შიგნით მუშაობენ. ისინი უარყოფენ „რევოლუციას“ (რაც საქართველოში ძირითადად მთავრობის არაკონსტიტუციურ ცვლილებას ნიშნავს) და კონსტიტუციური ვადების თანახმად, 2012 წელს არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ, რათა გაზარდონ თავისი პოლიტიკური ძალაუფლების წილი. ამჟამად ისინი მმართველ პარტიასთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პარლამენტში საარჩევნო კოდექსის შეცვლისთვის თანამშრომლობენ. თარგამაძის ჯგუფმა რეჟიმის ცვლილების მომხრეთა ბანაკი 2008 წლის დასაწყისში დატოვა, იმავე წელს პარლამენტში ადგილები მოიგო და დაიკავა თავისი ადგილი, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ (მაშინ, როდესაც შეურიგებლებმა უარი თქვეს იმ რამდენიმე ადგილზე, რომელიც იმავე წელს მოიპოვეს). ალასანიას „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ მჭიდროდ თანამშრომლობდა შეურიგებელ ოპოზიციასთან 2009 წლის ანტისამთავრობო კამპანიის დროს, მაგრამ მომდევნო წელს მასთან ურთიერთობა შეწყვიტა. ეს ორი პარტია უკვე მოწიფული შეხვდა 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებს, რომლებმაც საქართველოში პარტიული სისტემის შემდგომი განვითარების საფუძვლები შექმნა. ამ არჩევნებმა დაადასტურა, რომ პროსაპრეზიდენტო ნაციონალურ პარტიას მაღალი რეიტინგი აქვს. ამავე დროს გამოჩნდა, რომ ქვეყანაში არსებობს პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციური პარტიები და საბოლოოდ მოახდინა სერიოზული რევოლუციების მოყვარე ანაქრონისტული პარტიების მარგინალიზაცია“** – დასძენს სტატიის ავტორი.

„პირველი“

მეღვინეობა: რა იქნება ხვალ?

*მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) პატრონატით, მოლდავეთის ენოლოგთა კავშირის, ამ დარგის წარმატებული კომპანიების და სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს მხარდაჭერით, 1999 წლიდან კიშინიოვში იმართება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ღვინისა და სპირტიანი სასმელების ღია კონკურსი.*

*„მეღვინეობის საერთაშორისო კოდექსის“ თანახმად, კონკურსი ღიაა ყველა კატეგორიის და წარმომავლობის ღვინოებისა და სპირტიანი სასმელებისთვის. ნიმუშებს, ბუნებრივია აფასებს საერთაშორისო ჟიური, რომლის წევრებიც აღიარებული დეგუსტატორები არიან.*

*მესამე წელია, კონკურსის ორგანიზატორების მიწვევით, ჟიურის შემადგენლობაში ვმონაწილეობ, რაც საშუალებას მაძლევს, გავეცნო ღვინოებისა და სპირტიანი სასმელებისადმი წაყენებულ სადღეისო თუ სამომავლო მოთხოვნებს, ამ ელიტარულ საზოგადოებას გავაცნო ეროვნული პროდუქცია.*



## კვლავ ღირსეულად კი წარმოვჩნდით, მაგრამ...

### საქმისადმი მავან პასუხისმგებელ პირთა უპასუხისმგებლო და არასერიოზული მიდგომა განსაკუთრებით წარმოჩნდა ქართული ღვინის მორიგი წარმატების ფონზე

ახლახან გამართულ მორიგ კონკურსზე, რომელიც ორი დღე მიმდინარეობდა, შეფასდა 212 ნიმუში (წარმოდგენილი 400-მდე ექსპონატიდან). ჟიური დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად: მშრალი ღვინოების – თეთრი, წითელი და ვარდისფერი, შემაგრებული ღვინოების და სპირტიანი სასმელების. ჟიური მუშაობდა ერთდროულად, საუკეთესოდ მოწყობილ სადეგუსტაციო დარბაზში და ყოველი მათგანის შეფასება დაუყოვნებლივ ფიქსირდებოდა ეკრანზე.

ინსტიტუტმა კონკურსზე წარადგინა ჩვენი საკოლექციო ღვინოების ნიმუშები., კერძოდ, თბილისის კოლექციიდან – 1959 წლის ღვინო „საამო“, და თელავის კოლექციიდან – ლიქიორული ღვინო „თელავი“ 1977 წლის; სააქციო საზოგადოება ბაგრატიონი 1882-ის ორი ნიმუში – 2007 წლის „ფაინესტ ბრუტი“ და „რეზერვ ბრუტი“; ალავერდის მონასტრის კახური ტექნოლოგიით დაყენებული ღვინო „ალავერდის ტრადიციული 2009“ და ინსტიტუტის დოქტორანტის თემურ კორტავას ხერესი „ანასტასია“.

ჩვენი ინსტიტუტის ენოთეკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თელავის კოლექციიდან „თელავმა“ დაიმსახურა ოქროს მედალი, ხოლო თბილისის „საამომ“ – ვერცხლის. ეს თელავის კოლექციის ნიმუშის პირველი მნიშვნელოვანი აღიარებაა ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

ბრწყინვალე შეფასება მიიღეს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882“-ის ორივე ნიმუშმა, რომლებიც შეფასებით ძალიან ახლოს იყვნენ ფრანგულ შამპანურთან და, რაც მთავარია, უკეთესი შეფასება მიიღეს, ვიდრე მოლდავეთის „კრიკოვოს“ აღიარებულმა ნიმუშებმა. ინსტიტუტი გულწრფელად ულოცავს „ბაგრატიონის“ კოლექტივს ასეთ დიდ გამარჯვებას.

ასევე წარმატებულად შეფასდა კახეთის „ტრადიციული მეღვინეობა საქართველოს“ (ძმები ასკანელებიძ „მუკუზანი“ ვერცხლის მედლით.

კონკურსის დამთავრებისთანავე მომეცა საშუალება, ჟიურის წევრებისთვის განემარტა ალავერდის მონასტრის „ალავერდის ტრადიციული“ ღვინის ღირსებები. ევროპული ტიპის, თხელი, გამჭვირვალე ღვინოების გვერდით მათი შეფასება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა.

სწორედ ამან განაპირობა ჟიურის წევრების დაინტერესება ქვევრის ღვინისადმი და ბევრმა მათგანმა აღიარა კიდეც მისი უნიკალურობა (ექსტრაქტულობა, სპეციფიკური გემო, არომატი), თუმცა საერთაშორისო დეგუსტაციების რეგლამენტში ცვლილების შეტანა დაუშვებელია. დარწმუნებული ვარ, მომავალში ამ ტიპის ღვინოებს უფრო მეტი მოწონება ექნებათ. ამრიგად „ალავერდის ტრადიციული“ დიპლომით შეფასდა. დიპლომით შეფასდა ხერესი „ანასტასიაც“.

**რა შეიძლება ითქვას ამ ტრადიციული საერთაშორისო ღვინისა და სპირტიანი სასმელების კონკურსის შესახებ?**

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო კონკურსის ორგანიზების მაღალი დონე. **ამ ქვეყანაში, სადაც საკმაოდ სერიოზული სირთულეებია, მეღვინეობას დიდი ყურადღება და მხარდაჭერა ეთმობა.** ამას არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი ევროპელი კოლეგებიც ხმამაღლა აღნიშნავდნენ. ამის შედეგია, რომ კონკურსი თანდათანობით მეტ აღიარებას პოულობს და ყოველწლიურად მატულობს როგორც ჟიურის წევრები, ასევე წარმოდგენილი ნიმუშები საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან.

**და სწორედ ამის გათვალისწინებით, გაოცებას იწვევს ცალკეული ქართველი მეწარმეების დამოკიდებულება შავი ზღვის ქვეყნების ტრადიციული საერთაშორისო კონკურსისადმი.**

ცნობილია, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობებიც და ღვინის მოხმარების მაჩვენებელიც, **მაგრამ თანდათან სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება ბაზრებზე დამკვიდრება.** ამიტომაც სწორედ ამ კონკურსისთვის აქვთ მიპყრობილი ყურადღება უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის (ჩვენი ძირითადი ბაზრის მომხმარებლებიძ და ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლებს.

კონკურსის შედეგებით ცნობილი გახდა, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნების ექსპონატებიდან მაღალი შეფასება მიიღეს – სომხეთის კონიაკმა (ოქროს მედალიძ, აზერბაიჯანის კაგორმა (ოქროს მედალიძ. არაფერს ვამბობ ყირიმის, რუსეთის მშრალი ღვინოების წარმატებებზე.

**ჩემთან მოდიოდნენ ნაცნობები და უცნობები, რომელნიც გაკვირვებული მეკითხებოდნენ, სად გაქრა თქვენი კონიაკები და ცნობილი ღვინოები წინანდალი, გურჯაანი, მანავი, ხვანჭკარაო?**

ბუნებრივია, თუ დავთმობთ პოზიციებს ჩვენთვის ტრადიციულ კონკურსებზე, **ქართულ კონიაკს და ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს სულ უფრო მეტი პრობლემები შეექმნებათ საერთაშორისო ბაზარზე.**

გულისტკენით უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი წარმოების ხელმძღვანელს პირადად შევთავაზე ნიმუშის წარდგენა. **გარკვეული შეღავათების მიუხედავად, ჩემი გაოცება გამოიწვია ამგვარი კონკურსებისადმი მათმა, რაც გულგრილმა, არასერიოზულმა მიდგომამ, რაც საერთაშორისო ბაზარზე ეროვნული პროდუქციის იმიჯზე, უდავოდ უარყოფითად იმოქმედებს.**

**ამიტომაც მინდა, რომ მივმართო მათ: ჩემო კოლეგებო, წინათ მიღებული მედლები დღევანდელ კომერციულ გარემოს ნაკლებად აინტერესებს. თქვენ უნდა აჩვენოთ, როგორ პროდუქტს გამოვუშვებთ დღეს და ხვალ, რითი დავაკმაყოფილებთ პრეტენზიული მომხმარებლის გემოვნებას.**

**გახსოვდეთ, ამგვარ საერთაშორისო კონკურსებზე წარმატების მოპოვება თქვენი ღვინის პროდუქტების რეალიზაციის პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალება და ღირსეული ეროვნული პროდუქციის პოპულარიზაციაა.**

**მურმან ქურიძე,**
აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

უსუსური გადაწყვეტილება

# რატომ დატოვა ჯანდაცვის მინისტრმა ორსულები სახელმწიფო დახმარების გარეშე?!

(მეოთხე გვერდიდან) ეტყობა, ჯერ კიდევ არ იცის საზოგადოებამ, არათუ ექვსი, არამედ ის გათვალისწინებული ოთხი ვიზიტიც ბევრისთვის რომ ხელმიუწვდომელია. არადა, რა პრინციპული აზრი დევს იმაში, რომ 13 კვირამდე ორსულები დაფინანსდნენ და 13 კვირის შემდეგ – არა, სამედიცინო თვალსაზრისით ნამდვილად გაუგებარია?! რა უშავდება სახელმწიფოს იმით, რომ თუნდაც 18 კვირის ორსულს მისცეს ვაუჩერი და ვთქვათ, უკვე ჩავლილი დრო – 2 ვიზიტისთვის ავტომატურად გააუქმოს, მაგრამ დანარჩენი 2 ვიზიტი გინეკოლოგთან მაინც დაუფინანსოს?! მე მგონი, ამით ბიუჯეტი დიდად არ დაზარალდებოდა, მაგრამ ამ უსუსური ბრძანებით ნამდვილად დაზარალდნენ მომავალი დედები, რომლებიც სულმოუთქმელად ელოდებიან ჯანმრთელი პირმშოს დაბადებას.

**მინისტრის გადაწყვეტილების მიზანი და მიზეზი ვერ გავიგეთ. რამდენჯერმე ვცადეთ მის პრესცენტრთან დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. ასე რომ, ეს კითხვა კვლავ კითხვად რჩება... იქნებ მართლა მოეძებნება რაღაც კომპეტენტური მიზეზები მინისტრს, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს საზოგადოებასაც სცოდნოდა. იქნებ გამონახოს ანდრია ურუშაძემ ამისთვის დრო და განმარტებებიც წარმოადგინოს. თუმცა უმჯობესია, თავად გადაწყვეტილება შეცვალოს და ამით ცოტათი მაინც შეამსუბუქოს ვითარება, რომელსაც სამედიცინო სფეროში გამეფებული არნახული სიძვირე იწვევს. მართლაც და რა გახდა ორსულების დაფინანსება... თორემ ყოველწლიურად ჩვენთან მილიონობით ბავშვი არ იბადებოდეს?!.**

თეა მოსია

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბაღაფში სიტყვისთვის ჯიბეში არ ძვრება

**რუსეთსა და აფხაზეთს შორის არ ცხრება ტერიტორიული დავა, რომელიც თავისი დაძაბულობით რუსეთ-უკრაინის დაძაბულობას წააგავს ტუზლასთან დაკავშირებით. მხარეებს არ შეუძლიათ მოილაპარაკონ გაგრის რაიონში სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის შესახებ, კერძოდ, კი გაიყონ მადლათიანი სოფელი აიბგა.**

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ სოხუმმა აღიარა სოფლის რუსეთისადმი მიკუთვნების ფაქტი. და საზღვრის ხელახალი გავლება ახლა მხოლოდ ტექნიკის საქმეა. ეს არ შეესაბამება აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის განცხოვილებას, რომელმაც განაცხადა, რომ „ჩვენ არც ერთი კვადრატული მეტრის მიცემას არ ვაპირებთ არავისთვის“.

სკანდალი სოფელ აიბგასთან დაკავშირებით მარტში გაჩაღდა, როდესაც აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ინფორმაცია რუსეთის გაასიდუმლოებული გეგმის შესახებ საზღვრის დელიმიტარიზაციასთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის თანახმად, რუსეთს უნდა მიეკუთვნოს არა მხოლოდ ეს სოფელი, რომელიც მდინარე ფსოუზე მდებარეობს, არამედ აფხაზეთის გაგრის რაიონის ტერიტორიის 160 კვადრატული კილომეტრი ოდენობით. გაზეთმა „ნუჟნაია“, რომელმაც გამოაქვეყნა მასალა რუსეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, დაბეჭდა კარიკატურაც, როდესაც წარმოაჩენენ რუსეთის პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს დიმიტრი მედვედევსა და ვლადიმერ პუტინს, რომლებიც აფხაზეთს გლეჯენ მიწის ნაწილებს. როგორც ამ გაზეთის მთავარმა რედაქტორმა იზიდა ჭანიამ გვაცნობა, დელიმიტაციის გეგმა შემოვიდა აფხაზეთის პარლამენტში. „დეპუტატებმა უარი თქვეს მისი შინაარსის გამოქვეყნებაზე და ავტორობის გამხელაზე, – ამბობს ქალბატონი ჭანია. – მაგრამ ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ იგი რუსეთიდან შემოვიდა“.



რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში ცნობას მოსკოვის პრეტენზიების შესახებ აფხაზეთის ტერიტორიის 160 კვადრატულ კილომეტრზე მონაგონი უწოდეს, თავად სკანდალს კი – გამოგონილი ისტორია. 13 აპრილს კი დიპლომატიურმა წყარომ გვაცნობა, რომ სასაზღვრო დავა აფხაზეთთან ამოწურულია და ეს მოხდა ჯერ კიდევ მარტის ბოლოს რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის მილიტარიზაციისა და დემარკაციის კომისიის სხდომაზე. „აფხაზებმა აღიარეს, რომ აიბგა – რუსეთის სოფელია და სხვათა შორის, იგი თავად აფხაზეთისგან გამოყოფილია გაუვალი მთებით, ასე რომ, იქ მოხვედრა შეიძლება მხოლოდ კრასნოდარის მხარის მხრიდან, – გვითხრა წყარომ, რომელიც იცნობს მოლაპარაკების მიმდინარეობას. – დავა ახლა მიმდინარეობს 5-6 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე“. აფხაზეთის მხარის დარწმუნება, რუსი დიპლომატის სიტყვებით, მოხერხდა საარქივო დოკუმენტების დახმარებით. „ახლა საკითხი არის ის, თუ როგორ გაივლოს საზღვარი რუკებზე, რომ სოფელი იქცეს ერთიანად. ამ ზაფხულს იქ გაიგზავნება სპეციალური ექსპედიცია, რომელმაც უნდა გაარკვიოს, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ეს. სოფელი რუსეთისა იქნება – ეს ფაქტია“, – გვითხრა მოსაუბრემ.

მაგრამ თურმე ასეთ მიდგომას არ იზიარებს აფხაზეთის ხელისუფლება. სერგეი ბაღაფშმა, რომელიც ამ კვირაში თურქეთიდან დაბრუნდა, სამშაბათს სოხუმში მოიწვია პრესკონფერენცია, რომელზეც უარყო ყველაფერი, რასაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში ლაპარაკობენ. „უსაგნო საუბრებს იმის შესახებ, რომ აბაღაფშმა გაყიდა აფხაზეთი, გასცა აიბგა – არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ჩვენ ვაწარმოებთ ნორმალურ მოლაპარაკებითს პროცესს დემილიტაციისა და დემარკაციის საკითხებზე. ჩვენ არც ერთი კვადრატული მეტრის მიცემას არ ვაპირებთ არავისთვის“, – განაცხადა აფხაზეთის ლიდერმა. ასევე მან ღორობა უწოდა აფხაზეთის პრესაში პუტინისა და მედვედევის კარიკატურის გამოქვეყნებას. „ამ ნაწარმოებების ავტორებმა, ეტყობა, დაივიწყეს ყველა ის სიძნელე, რაც აფხაზეთმა გადაიტანა. დაივიწყეს 2008 წელი და სიტუაცია გალის რაიონში. გამოდის, რომ ირგვლივ მხოლოდ პატრიოტები არიან და მხოლოდ აფხაზეთის ხელმძღვანელობა არ არის პატრიოტი“, – აღნიშნა ბატონმა ბაღაფშმა.

ეს განცხადება ნიშნავს, რომ რუსეთ-აფხაზეთის დავა სოფელ აიბგასთან დაკავშირებით შორსაა დასრულებისგან და სასაზღვრო საკითხები ისე მალე არ გადაწყდება, როგორც ეს მოსკოვს სურს. „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეტყობა სასურველი სინამდვილედ გაასაღა, – აღნიშნავს აფხაზი ექსპერტი ინალ ხაშიგი. – აფხაზეთის ხელისუფლება სულაც არ მიიჩნევს ამ სოფელს რუსეთისად. იგი მდინარის მიერ გაყოფილია ორ ნაწილად. ერთ ნაპირზე არის რუსეთის ნაწილი, მეორეზე – აფხაზეთისა. რუსეთს კი პრეტენზია აქვს მთელ სოფელზე“.

აიბგას პრობლემა აუცილებლად შეავსებს სადავო საკითხების სიას მოსკოვსა და სოხუმს შორის, რომლებსაც ასევე განეკუთვნება იმ რუსეთელების საკუთრების დაბრუნების თემა, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთი ომის დროს. აფხაზეთის მხარე კატეგორიულად წინაალმდეგია დაუბრუნოს უძრავი ქონება ქართული ეროვნების რუსეთის პასპორტების მქონე პირებსაც, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ ასეთი პოზიცია არასწორია.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**ნანგრევებში „ფუკუსიმა-1“-ის გარშემო ათასობით დაკარგულის ცხედრებს ეძებენ. აფტერშოკების ტალღა იაპონიაში კიდევ არაერთ ატომურ ელექტროსადგურს ემუქრება**

ერთი დღე-ღამის განმავლობაში ქვეყნის მთვარი კუნძული უკვე მეექვსედ შეზანზარდა, ბიძგები იგრძნობოდა, პრაქტიკულად, ყველა ოლქში, მათ შორის ტოკიოშიც. ფუკუსიმაში ავარიული სადგურისთვის განმეორებითი მიწისძვრები ამჟამად ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ხელისუფლება შეშფოთებულია პრეფექტურა მიაგის სადგურის გამოც – იქ უკვე შეინიშნება რადიაციის გადინება.

* * *

**ტერორისტული აქტის შემდეგ მინსკის მეტროს მუშაობა აღდგა, მაგრამ მგზავრები ჯერჯერობით არ არიან**



მუშაობს სადგური „ოქტრიაბსკაიაც“, სადაც ორშაბათს მოხდა ტერორისტული აქტი. წინა დღით ეს ხაზი უკვე მუშაობდა, მაგრამ მატარებლები იმ სადგურზე, სადაც აფეთქება მოხდა, არ ჩერდებოდნენ. თუმცა, მეტროთი მგზავრობის მსურველები არც ისე ბევრია.

* * *

**საშინელი ხანძარი პარიზში: დაიღუპა 5, დაშავდა ათობით ადამიანი**

ხანძარი გაჩნდა დედაქალაქის გარეუბანში მრავალსართულიანი სახლის კიბის მონაკვეთში. დაშავდა 42 კაცი, 6 მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. კრიმინალისტები არკვევენ ხანძრის მიზეზსა და ვითარებას.



* * *

**რუსეთელმა ეკოლოგმა ობამასთან მიღებაზე მოუწოდა აშშ-ს თავი შეიკავოს ჟაბურღილების ბურღვისგან არქტიკაში**

დმიტრი ლისიცინი წელს გახდა პრესტიჟული გოლდმანის პრემიის (არსებითად იგი ეკოლოგიის დარგში ნობელის პრემიას უტოლდება) ლაურეატი. მასთან ერთად პრეზიდენტის რეზიდენციაში მიწვეული იყვნენ პრემიის ლაურეატები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, ზიმბაბვედან, ინდონეზიიდან და სალვადორიდან. კოლეგებმა წინასწარ მოილაპარაკეს, რომ თითოეული მათგანი სიტყვით გამოვიდოდა.



# მეგობრობა ფულმა გააფუჭა

**ისრაელის ერთ-ერთმა უდიდესმა კონცერნმა საქართველოზე სარჩელი შეიტანა სასამართლოში. საქართველოს ბრალს სდებენ ფულის გადაუხდელობაში შესყიდული იარაღის გამო. ეს იარაღი უპილოტო საფრენი აპარატებია.**

გაჩნდა ინფორმაცია, რომ ისრაელის ხელისუფლებამ საქართველო იმ ქვეყნების სიაშიც კი შეიყვანა, სადაც ჩასვლა რეკომენდებული არ არის. თბილისი ამას კატეგორიულად უარყოფს და ამტკიცებს, რომ ურთიერთობათა არანაირ გაუარესებაზე საუბარი არ მიმდინარეობს. მაგრამ დამოუკიდებელი ექსპერტები აცხადებენ, რომ კონფლიქტი სახეზეა, და მისი მიზეზი საქართველოში ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესთან დაახლოებული ბიზნესმენების დაპატიმრებაა.

უკანასკნელ პერიოდში ისრაელის ხელისუფლებამ განახორციელა რამდენიმე გახმაურებული დემარში საქართველოსთან დაკავშირებით. თებერვალში თბილისში დროებით დაიკეტა ახლოაღმოსავლეთი სახელმწიფოს საელჩო, მოგვიანებით თელ-ავივის ინიციატივით გაუქმდა ისრაელში საქართველოს პარლამენტის სპიკერის დავით ბაქრაძისა და ეკონომიკის მინისტრის ვერა ქობალიას ვიზიტები. ახლა კიდევ სასამართლო დაძაბულობაა.

ისრაელელები საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ 100 მილიონი დოლარის გადახდას კონტრაქტით იარაღის მიწოდების გამო. კონტრაქტი გაფორმდა 2007 წელს. კონცერნმა მიმართა სასამართლოს, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა გადახდაზე. თუმცა თუ როდის შემოვიდა უარი ამ თანხის გადახდაზე, გაურკვეველია. 2007 წელს „ელბიტ მაარახოტი“ მოელაპარაკა თბილისს 4 ათეული უპილოტო საფრენი აპარატის მიწოდების შესახებ. ისინი მიღებული იქნა 2008 წელს და სამი მათგანი გაანადგურეს აგვისტოს ომის დროს.

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# საქართველომ ოფშორებს ტელეარხების მფლობელობა აუკრძალა

**საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე თვის ცხარე დებატების შემდეგ მესამე წაკითხვით მიიღო ცვლილებები კანონში მაუწყებლობის შესახებ. ეს სიახლე იმ კომპანიებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან ოფშორულ ზონებში, უკრძალავს უფლებას ფლობდნენ ლიცენზიებს ტელე და რადიომაუწყებლობებზე.**

ელოდებიან, რომ ცვლილებები ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხის გადაწყვეტა გახდება მაუწყებლობის სფეროში და აიძულებს ტელეკომპანიებს აუწყონ საზოგადოებრიობას ინფორმაცია არა მხოლოდ მფლობელების, არამედ შემოსავლების წყაროების შესახებაც. საერთაშორისო ორგანიზაციები არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ ინფორმაციის უკმარისობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მფლობელების შესახებ და განსაკუთრებით დიდი ეროვნული ტელეკომპანიების მფლობელების შესახებ არის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა საქართველოს მედია სფეროში.

ამერიკის შეერთებული შტატების ადამიანის უფლებების სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის მოხსენებაში, რომელიც 8 აპრილს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ, მიუხედავად მოწოდებისა შეცვალონ ქვეყნის კანონმდებლობა, ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მფლობელობის შესახებ, მათ შორის უდიდესი ეროვნული ტელეარხების – „რუსთავი-2“-ისა და „იმედისა“, გაურკვეველი რჩება.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ორივე არხის ხელმძღვანელობას ხელისუფლება აკონტროლებს.

ინიციატივით – შეიცვალოს კანონმდებლობა გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით მაუწყებლობის სფეროში – ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

მისი სიტყვებით, ინიციატივის განხორციელების შემდეგ საზოგადოებას ექნება სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ფინანსდება ესა თუ ის მასობრივი ინფორმაციის საშუალება და ვინ ხელმძღვანელობს მათ.

ახალი წესების თანახმად, კომპანიას, რომელიც დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში, აგრეთვე იურიდიულ პირს, რომლის აქციებსაც პირდაპირ ან ირიბად ფლობს რომელიმე კომპანია, არ აქვს ლიცენზიის ფლობის უფლება მაუწყებლობის სფეროში. პარლამენტის იურიდიული საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი, რომელიც ასევე მონაწილეობდა ცვლილებების მომზადებაში, გვიამბობს, რომ ასეთი აკრძალვა არ არის არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში, მაგრამ მისი კანონპროექტის დამუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების აზრი, ვისთანაც მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები.

„ჩვენ განვიხილეთ რეგულირების ბევრი მაგალითი სხვადასხვა ქვეყანაში. არც ერთ ქვეყანაში არ არის აკრძალვა კომპანიის საქმიანობაზე, რომელიც დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში, – ამბობს თაქთაქიშვილი. – შესაბამისად ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ იმის შესახებ, ღირდა თუ არა საერთოდ ასეთი გადაწყვეტილების მიღება. შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ“.

ახალი წესების თანახმად, კომპანიებმა ეროვნულ კომისიებს კომუნიკაციების საკითხში უნდა წარუდგინონ მონაცემები, ცალკე უნდა მიუთითონ შემოსავლის წყაროები რეკლამებიდან, ტელემაღაზიებიდან, აგრეთვე სპონსორებისა და შემოწირულობათა შესახებ.

„ამ დეტალური ინფორმაციის მეშვეობით საზოგადოებრიობას ექნება სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი ფინანსური მოდელით ფუნქციონირებს ესა თუ ის მაუწყებლობა და როგორია მისი შემოსავლები“, – განაცხადა თაქთაქიშვილმა პარლამენტში გამოსვლის დროს.

ლიცენზიების მფლობელებს ვადა ეძლევათ წლის ბოლომდე, რათა თავიანთი სტრუქტურები მოიყვანონ ახალი მოთხოვნების შესაბამისობაში.

დღეს, ექსპერტების სიტყვებით, ტელემაუწყებლობის სფერო, რაც ძირითადად გაყოფილია სამ საზოგადოებრივ ტელეარხს შორის, ხელისუფლების მიერ ყველაზე კონტროლირებადია.

თუ საქართველოს წინა ხელმძღვანელობას არ ჰქონდა უნარი ეწარმოებინა ეფექტიანი კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ვარდების რევოლუციის შემდეგ კონტროლი ტელევიზიაზე გაძლიერდა. პოსტრევოლუციურმა ხელისუფლებამ „იცის ტელევიზიის ფასი“, ამბობს კავკასიის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სკოლის ასისტენტი პროფესორი ნინო დანელია.

გაუმჭვირვალობა მაუწყებლობის სფეროში, ექსპერტების შეფასებით, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთადერთი პრობლემა როდია.

დამოუკიდებელ და ოპოზიციურად განწყობილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ძალიან უჭირთ მონახონ რეკლამის დამკვეთები, ვინაიდან ბევრ კომპანიას ეშინია პრობლემებისა მთავრობასთან.

ერთ-ერთი უცხოური კომპანიის ანალიტიკოსი საქართველოში მატიას ხუტერი ამბობს, რომ საქართველოში ყოფილი საბჭოთა კავშირის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით პირდაპირი ზემოქმედებისა და ჟურნალისტებთან ფიზიკური ანგარიშსწორების ნაკლები შემთხვევებია. „შემთხვევები ჟურნალისტებზე პირდაპირი ზემოქმედებისა საქართველოში იშვიათია, – ამბობს მატიას ხუტორი. – მაგრამ რესურსების შეზღუდულობის გამო დამოუკიდებელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და დამოუკიდებელ ჟურნალისტებს უჭირთ სამუშაოს შესრულება. საქართველოში რეკლამის ასეთი მცირე ბაზრის პირობებში დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმრავლესობა დღეს დიდად არის დამოკიდებული დასავლელ დონორებზე.

BBC RUSSIAN.com

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ კავშირგაბმულობა

*არ არსებობს მსოფლიოში საქონლის თუ მომსახურების ბაზარი, რომელიც რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სტატიკურ მდგომარეობას ინარჩუნებდეს, მასში არაფერი იცვლებოდეს. მით უმეტეს ეს ეხება განვითარების განსაკუთრებული დინამიურობით გამორჩეულ ბაზრებს, ვთქვათ, ისეთს, როგორიცაა მობილური სატელეფონო კავშირი. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ამ ბაზარზე მხოლოდ სამი კომპანია მოქმედებს, ცოტა ხნის წინათ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ პორტირების სისტემის შემოღების თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც აბონენტისთვის ტელეფონის ნომრის შეუცვლელად ერთი ოპერატორიდან მეორეზე გადასვლას და მომსახურების თავისთვის სასურველი პაკეტის შეძენის თავისუფალ შერჩევას გულისხმობს, მობილური სატელეფონო კავშირის ბაზარზე გარკვეული ძვრები გამოიწვია.*

# ვინ გაიმარჯვებს გამოუცხადებელ ომში?

როგორც თავად კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აღნიშნავენ, პორტირების სისტემის შემოღების მიზანი ის გახლავთ, რომ მობილური სატელეფონო კავშირის ოპერატორმა კომპანიებმა მარტო ერთმანეთის კლიენტები კი არ გადაიბირონ დაუბრკოლებლად, არამედ ახალი სატარიფო პოლიტიკის გატარებისთვისაც დღენიადაგ იზრუნონ, სათანადო აქციები გამართონ და, საერთოდაც, კონკურენტული ბრძოლა ჰქონდეთ უკეთესი და ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებით. ყოველივე ამან, მართალია, არა მაინცდამაინც საგრძნობი, მაგრამ მაინც გარკვეული ძვრები გამოიწვია კომპანიების სატარიფო ნიხრებში და, როგორც იმედოვნებენ, ეს ტენდენცია მომავალში უფრო შესამჩნევი იქნება.

ამასთან, ამ სახეობის მომსახურების ფასები ჩვენში, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე მობილური სატელეფონო კავშირი ოდნავ გაიაფდა (დაახლოებით 7 პროცენტითძ, მეზობელ, ასევე ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია. ექსპერტები ფასების ამ უმნიშვნელო შემცირებასაც კი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აღნიშნულ დადგენილებას უკავშირებენ, რომელიც ზუსტად ორი თვის წინათ, 15 თებერვალს შევიდა ძალაში. სადღეისოდ სამივე ოპერატორმა კომპანიამ ერთმანეთში დაახლოებით 18,5 ათასი აბონენტი „გაცვალა“. კერძოდ, რაოდენობრივად **ყველაზე მეტი კლიენტი ბაზრის წინა წლების უპირობო ლიდერმა „მაგთიკომმა“ დაკარგა, რომლის 10,5 ათასი აბონენტი „ჯეოსელის“ მუშტარი გახდა. თუმცა „მაგთიკომის“ დანაკლისი ამით არ შემოიფარგლა — აპრილისთვის მას კიდევ 2,2 ათასმა აბონენტმა „ბილაინთან“ „უღალატა“.** თუმცა მოძრაობებს ბაზარზე საპირისპირო მიმართულებითაც აქვს — **ამ ხნის მანძილზე „მაგთიკომს“ „ჯეოსელის“ 1,6 ათასი კაცი მიემატა.** მოძრაობის დინამიკა და ტენდენციები უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, უნდა აღინიშნოს, რომ **ორი თვის მანძილზე „ჯეოსელიდან“ „ბილაინში“ 1,2 ათასი აბონენტი გადაპორტირდა, „ბილაინიდან“ „ჯეოსელში“ — 850, „ბილაინიდან“ „მაგთიკომში“ — 2 ათასზე მეტი კაცი.**



**სადღეისოდ საქართველოს მობილური სატელეფონო კავშირის 3 მილიონზე მეტ მომხმარებელში „ჯეოსელის“ ქსელში ჩართულია აბონენტთა დაახლოებით 46 პროცენტი** და იქ გაისად ამ მაჩვენებლის კიდევ მეტად გაზრდას გეგმავენ. **„მაგთიკომის“ მომსახურებით სარგებლობს მათი 41 პროცენტი, ხოლო დარჩენილ 13 პროცენტს „ბილაინი“ ემსახურება.**

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოება. იმის მიუხედავად, რომ მობილური სატელეფონო მომსახურება ჩვენში მხოლოდ 7 პროცენტით გაიაფდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამას პორტირების სისტემის შემოღებას უკავშირებენ, თუმცა რეალურად იგი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ტარიფის ზედა ზღვრის დაწესების შედეგი უფროა. საქმე ის არის, რომ **1 აპრილიდან მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორებს უფლება აღარ აქვთ ერთი წუთის საუბარში აბონენტებს 24 თეთრზე მეტი გადაახდევინონ.** საგულისხმოა, რომ ეს გადაწყვეტილება კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ერთპიროვნულად კი არა, სამივე ოპერატორთან ერთობლივი მუშაობის შედეგად მიიღო, თუმცა სავარაუდოა, რომ ინიციატივა თავად კომისიიდან მოდიოდა, ხოლო მისი დაბალი მაჩვენებელი (რამდენიც არ გვიმტკიცონ საპირისპიროძ უკვე „მაგთიკომის“, „ჯეოსელისა“ და „ბილაინის“ მედგარი წინააღმდეგობის შედეგია. მართალია, მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ წლევანდელ 1 აპრილამდე „მაგთიში“ ჩართული აბონენტებისთვის ერთი წუთის ღირებულება 32 თეთრი იყო, „ჯეოსელის“ აბონენტთათვის — 28,8 თეთრი. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, **ყველა ხარჯისა და, ამასთან, მოგების ოდენობის გათვალისწინებით, თავად კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სპეციალისტთა გაანგარიშებით, „მაგთის“ ოპტიმალური ტარიფის ერთი წუთის ფასი 18,5 თეთრი იყო, „ჯეოსელის“ კი — 17,1 თეთრი.** თუკი ამ ციფრებს დავაკვირდებით, მაშინვე დავინახავთ, რომ წუთობრივი საფასურის ზედა ზღვრად 20 (და არა 24ძ თეთრის განსაზღვრა სავსებით ლოგიკური და, აბონენტთა უმრავლესობის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, სოციალურად სამართლიანი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპერატორებს 20-ზე მეტად 24 თეთრი „აწყობთ“ ისევე, როგორც კომუნიკაციების მარეგულირებელს, რომელსაც ტარიფის მომავალში შესამცირებლად „სამუშაო ლუფტი“ სჭირდება.

ამგვარი ქვენა დინებათა წყალობით ამჟამად საქართველოში მობილური სატელეფონო კავშირის ოპერატორი კომპანიები, იმის მიუხედავად, რომ ნაირ-ნაირ პიარკამპანიებს ატარებენ და მომსახურების სხვადასხვა პაკეტს სთავაზობენ მომხმარებელს, მას მაინც ზედმეტად მაღალ საფასურს ახდევინებენ. თანაც პირველი, რაც კაცს თვალში ეცემა, ის არის, რომ ეს დიდი რეკლამისა და სატელევიზიო „დატკბობის“ ფონზე (მაგალითად, „ბალი სულ სხვაა“, „თქვენი ქსელი — „ჯეოსელი“ ანდა „იცხოვრე ნათელ მხარეს“ და ა.შ.ძ, პირდაპირ ვთქვათ, დაუნდობელი ტარიფი კომპანიებმა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურის აქტიური ჩარევის შედეგად შეამცირეს, რაც, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიღებული არ არის. ამასთან, ეს იმის ნიშანიც არის, რომ კონკურენციის მიუხედავად, „ჯეოსელიც“, „მაგთიკომიც“ და „ბილაინიც“ ერთიანი ფრონტით გამოდიან, რაც, ცოტა არ იყოს, მომხმარებლისთვის გამოუცხადებელ ომს უფრო ჰგავს.

**ინფორმაცია თემაში**

**„ჯეოსელმა, „მაგთიკომმა“ და „ბილაინმა“ ერთად შარშან 600 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს. მათ შორის, „მაგთიკომის“ შემოსავალმა შეადგინა 272 მილიონი ლარი, „ჯეოსელისამ“ — 282 მილიონი ლარი, ხოლო „ბილაინისამ“ — 70 მილიონი ლარი.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ მითი თუ რეალობა?

# მთების ცრემლები



**იმის მიუხედავად, რომ მედიცინაში მუმიეს ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ იყენებდნენ, მისდამი ინტერესმა გასული საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში ახალი ძალით იფეთქა. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, მაშინდელ სსრ კავშირში, დეფიციტი მარტო ნოხები, ბეწვის ქუდები, მოხერის კაშნეები და მოხდენილი ფეხსაცმელი კი არა, არამედ სასიამოვნო სურნელის მქონე ფისის მოყავისფრო ნატეხებიც იყო.**

## საუკუნეთა სიღრმიდან მოსული

**„მუმიე“ ამძაფრებს გრძნობებს, აჯანსაღებს კუჭს, ამსუბუქებს სუნთქვას და, საერთოდ, რთულ წამალთაგან ყველაზე სრულყოფილია“,** — ამბობდა ძველი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მკურნალი აბუ-ალი იბნ-სინა (ავიცენაძ. ამ ნივთიერებას, ანუ „მთის ბალზამს“ ნეპალის, არაბეთის, კავკასიის, ირანის, ასევე შუა და ცენტრალური აზიის მაღალმთიან რაიონებში მოიპოვებენ.

**ძველი აღმოსავლეთის მედიკოსები მუმიებით მოტეხილობებს და ამოვარდნებს, პოლიომიელიტსა და შაკიკებს, ეპილეფსიასა და მოწამვლებს, კუჭის წყლულსა და ტუბერკულოზს, კიდევ უამრავ სხვა დაავადებას მკურნალობდნენ.** ეს სამკურნალო საშუალება დღესაც დიდად პოპულარულია ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ავღანეთის, ირანის, ტიბეტისა და ინდოეთის მედიცინაში. მიიჩნევენ, რომ ფისოვანი მუმიე ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილებში რეგენერაციულ პროცესებს აძლიერებს, გარდა ამისა, არის ანთების საწინააღმდეგო, ანტიტოქსიკური და ორგანიზმის მთლიანად გამაჯანსაღებელი საუკეთესო საშუალება, რომელიც ასევე აღადგენს ნერვული სისტემისა და თავის ტვინის ზოგიერთ მნიშვნელოვან ფუნქციას.



## ეგვიპტელ ფარაონთა საიდუმლო

**„მუმიე“, — ესაა ბერძნული წარმოშობის სიტყვა და იგი „სხეულის შემნახველს“ ნიშნავს.** რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სიტყვები „მუმიე“ და „მუმია“ ერთი ფუძისგანაა წარმოშობილი, რაც სულაც არ არის შემთხვევითი: თურმე, ეგვიპტელ ფარაონთა სხეულებს საუკუნეების მანძილზე, ქარვისფერი ფისი ინახავდა.

**მუმიე კლდეთა ნაპრალებში, მუქი ყავისფერი კორძების სახით წარმოიშვება, რის გამოც მას, ზოგჯერ, „მთის ცრემლებს“ უწოდებენ.** თვისება, რომლის გამო მუმიეს შენახვის ყველაზე ხანგრძლივი ვადა აქვს, იმითაა განპირობებული, რომ იგი მაღალმთიანეთის პირობებში წარმოიშვება, სადაც ჟანგბადის უკმარისობისა და მოჭარბებული ულტრაიისფერი გამოსხივების პირობებში, აგრეთვე ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის გამო, ორგანული ნივთიერებები მუმიფიცირებული სახით დიდხანს ინახება. **მეცნიერთა მიერ გამოკვლეული მუმიეს ყველაზე ძველი ნატეხი დაახლოებით 15 ათასი წლის ასაკისაა.**

## წარმომავლობის საიდუმლო

**მუმიეს წარმოშობის თაობაზე მრავალი ვერსია არსებობს. სპარსეთში მას დედამიწისა და მზის შვილად მიიჩნევდნენ, ამიტომ მისი მოკრეფის უფლება მხოლოდ მზის ღმერთის მიტრას ქურუმებს ჰქონდათ. კავკასიაში კი მკურნალ ფისს დღესაც პრომეთეს (ამირანის) შედედებულ სისხლს უწოდებენ.**

**ერთ-ერთი ჰიპოთეზით, მუმიე — ესაა ქვებზე დალექილი ნავთობის ორთქლი, მეორეთი — ცვილისა და ველურ ფუტკართა თაფლის ნარევი, მესამეთი — უძველეს ცხოველთა გაქვავებული ექსკრემენტები. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ ქიმიური გამოკვლევები სამივე ჰიპოთეზას ადასტურებს! ამიტომ, მართებული იქნება ვთქვათ, რომ არსებობს მუმიეს რამდენიმე ნაირსახეობა — მინერალური, ცხოველური და მცენარეული.**

ჩვენს დროში სხვაზე მეტად ცხოველური წარმოშობის „მთის ბალზამია“ გავრცელებული, რომელსაც შუა აზიის მთებში მცხოვრები მღრღნელი აწარმოებს, რომელსაც **მუმიეს თაგვს** უწოდებენ. ეს პატარა ცხოველი სხვადასხვა ბალახითა და მინერალით იკვებება, მისი ცხოველმოქმედების შედეგი კი მუმიეს წარმოადგენს. თუმცა, ვიდრე სარგებლიან წამლად გადაიქცევა, თაგვის ცურცლს მრავალი ათეული წლის მანძილზე ნიადაგის სასარგებლო ბაქტერიები და სოკოები ამუშავებენ. ამ დროის მანძილზე იგი მრავალი ანტიბიოტიკით, სისხლძარღვთა გამფართოებელი ნივთიერებითა და ანტიკოაგულანტით მდიდრდება, რაც მას უნიკალურ ბიორეგულატორად აქცევს.

## მენდელეევის ტაბულის ნახევარი

ბიოლოგიურად მუმიე აქტიურ ორგანულ და მინერალურ ნივთიერებათა, მიკროელემენტთა, ვიტამინთა, ეთერულ ზეთთა, ფისებისა და სხვა ნაერთთა უნიკალური კომბინაციაა, რომელიც ორგანიზმზე მრავალმხრივად ზემოქმედებს.

**„მთის ფისი“ მენდელეევის პერიოდული სისტემის დაახლოებით 50 ელემენტს შეიცავს,** რომელთაგან აღსანიშნავია კალციუმი, ფოსფორი, მაგნიუმი, ქრომი, მანგანუმი, რკინა, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, კობალტი, ნიკელი, ცინკი, სილიციუმი, ბისმუტი და სხვ. მათგან ყველაზე დიდია კალციუმის, მაგნიუმისა და სპილენძის კონცენტრაცია.

**მუმიეს შემადგენლობაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანულ ნივთიერებათა როლი, რომლებიც 6-8 ამინომჟავას შეიცავენ.** მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია **გლიცინი** და **გლუტამინის** მჟავა. პირველი მათგანი ამცირებს ალკოჰოლის მიმართ ლტოლვას, ამცირებს აბსტინენციის მოვლენებსა და დეპრესიებს, აწესრიგებს ძილს. გლუტანიმისა და **ქარვის მჟავები** კი კუნთებს, განსაკუთრებით გულისას, ენერგიას აწვდიან და ასევე ამცირებენ ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი ლტოლვას.

**ირმა ირემაშვილი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ სამბო

# ჭაბუკები დღეს იწყებენ



**პრაღაში 15-16 აპრილს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის პირველობა გაიმართება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გუნდები ოლეგ იაძის ხელმძღვანელობით სრული შემადგენლობით იასპარეზებენ.**

**ჭაბუკებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ:** დავით გუჯეჯიანი (48ძ, ვარლამ შალიკაშვილი (52ძ, თორნიკე მუზიაშვილი (56ძ, ლუკა ჯაში (60ძ, ბექა ტულუში (65ძ, მიხეილ მეზურნიშვილს (70ძ, თამაზ ზურაბიშვილი (75ძ, რევაზ წულუკიძე (81ძ, ალექსანდრე მილდიანი (87ძ და კობა ეგუტიძე (+87ძ. **ახალგაზრდებში** მედლებისთვის იბრძოლებენ ლევან ბერბერაშვილი (48ძ, გივი ნადარეიშვილი (52ძ, ვახტანგ ჩიდრაშვილი (56ძ, ივანე გოგიაშვილი (62ძ, ზვიად კაპანაძე (68ძ, გიორგი პაპუნაშვილი (74ძ, ზაზა ზურაბიანი (82ძ, გიორგი ნოზაძე (90ძ, მიხეილ ნარიმანიძე (100ძ და სლავა რეზესიძე (+100ძ.

ახალგაზრდა ქართველი სამბისტები ნებისმიერი შეჯიბრებიდან ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან და, იმედია, არც ამჯერად გაგვაწბილებენ. რაც შეეხება ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს, იგი 12-15 მაისს სოფიაში გაიმართება.

**გივი გაგუა**

◎ ფეხბურთი

# რაულის გაზაფხული



**სადაა სამართალი? ლეგენდარული რაული ისე დაასრულებს კარიერას, მხოლოდ საკლუბო ტიტულებით იამაყებს მისი შთამომავლობა. დასანანია, რომ ესპანეთის ნაკრებში მისთვის ადგილი ვერც ლუის არაგონესმა გამოძებნა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე და ვერც ვისენტე დელ ბოსკემ შარშანდელ სამხრეთაფრიკულ „მუნდიალზე“.**

ის, რომ ეს თხემით ტერფამდე ბომბარდირი ნაადრევად ჩამოწერეს თანამემამულეებმა, მშვენივრად დასტურდება წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში, სადაც გელზენკირხენის „შალკე“ პირველად ალზევდა ნახევარფინალამდე. იქ მადრიდის „რეალიდან“ გადასული ვეტერანი ბუნდესლიგაში მთელი სეზონის განმავლობაში გამორჩეული ფიგურაა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებით მაინც კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში თამაშობს.

ალბათ, სიმბოლურიცაა, რომ აწ უკვე ყოფილი გვირგვინოსნის – მილანის „ინტერის“ ტახტიდან ჩამოგდებაში პარტნიორებზე მეტი წვლილი სწორედ ევროასპარეზოების ახალი რეკორდის ავტორმა შეიტანა, რომელმაც „სანსიროზე“ და საკუთარ სტადიონზე გატანილი გოლების შემდეგ პირადი მონაგარი 69 ბურთამდე გაზარდა.

გემახსოვრებათ, რომ რალფ რანგნიკის გუნდმა ორრაუნდიანი დუელის ბედი თავის სასარგებლოდ ერთი კვირის წინათ გადაწყვიტა, როცა მრისხანე მეტოქეს სტუმრად 5:2 გადაუგბინა. გერმანელები საპასუხო მატჩსაც სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და „შავ-ლურჯები“ კიდევ ერთხელ დაამარცხეს – 2:1 (რაული, ჰიოვედესი; ტიაგო მოტაძ.



ასევე მოუფრთხილდა ავტორიტეტს ჟოზე მაურინიუს გაწვრთნილი „სამეფო კლუბი“, რომელმაც ლონდონში უძლიერესი შემადგენლობით ამჯერადაც სძლია სასტარტო შეხვედრის შემდეგ თავმოყვარეობაშელახულ „ტოტენჰემს“ – 1:0 (რონალდუ. პირველი ბრძოლა – 4:0ძ, თუმცა ღირსების შენარჩუნება კარვალიუს მეორე ყვითელ ბარათად და დისკვალიფიკაციად დაუჯდა.

**ასე რომ, ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ:** „შალკე“ – „მანჩესტერი“ (26 აპრილი და 11 მაისიძ და „რეალი“ – „ბარსელონა“ (27 აპრილი და 10 მაისიძ.

**შეგახსენებთ, რომ ფინალს 28 მაისს ლონდონის „უემბლი“ უმასპინძლებს.**

**გიორგი შოთაძე**

◎ ძალოსნობა

# ლიგის რჩეულნი

**საქართველოს ძალოსანთა ლიგის მეორე ტურს ქუთაისმა უმასპინძლა – შეჯიბრებაში 110 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრები, გარდა გია მაჭავარიანისა (105 კგ.ძ და ირაკლი თურმანიძისა (+105ძ, რომლებიც, შესაბამისად, 16 და 17 აპრილს რუსეთის ქალაქ ყაზანში ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს.**

ლიგის პირველობა სხვა შეჯიბრებებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ საუკეთესოები წონების მიხედვით კი არა, სინკლერის სპეციალური ტაბულის მეშვეობით ვლინდება. **სამდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ ქულებით პირველ-მეექვსე ადგილებზე გავიდნენ:** 1. დავით გოგია, 105 კგ, ზუგდიდი, 405,4 ქულა (ატაცი 172 კგ+აკვრა 205 კგ=377 კგ.ძ, 2. რაულ ცირეკიძე, 85, ქუთაისი, 403,5 (158+192=250ძ. 3. ალუდა მანაგაძე, 105, ქუთაისი, 402,2 (172+202=374ძ, 4. გიორგი ლომსაძე, 69, ქუთაისი, 397 (138+167=305ძ, 5. ვაჟა ლონლაძე, 105, ქუთაისი, 384,8 (177+192=359ძ, 6. ლაშა ტალახაძე, (+105, საჩხერე, 373,0 (175+207=382ძ.

საგულისხმოა, რომ 17 წლის ლაშა ტალახაძემ, ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ქუთაისში ახალგაზრდებს შორის საქართველოს რეკორდი 6-ჯერ გააუმჯობესა: ორ-ორჯერ – ატაცში, აკვრასა და ორჭიდში. საკუთარ შედეგებს ბევრად გადაამეტეს 20 წლის დავით გოგიამ და 18 წლის გიორგი ლომთაძემ.

მწვრთნელებში 1906,8 ქულით საუკეთესო იყო აფხაზეთის წარმომადგენელი ავთანდილ გახოკიძე, რომელმაც პირველმა გადალახა 1900-იანი ზღვარი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. მალხაზ ლომთაძე (ქუთაისი, 1816,3ძ, 3. აბესალომ ბასილია (აჭარა, 1652,7ძ, 4. გია ცირეკიძე (ქუთაისი, 1631,1ძ, 5. ბეჟან ჭიჭინაძე (ზუგდიდი, 1622,7ძ, 6. გურამ მამიაშვილი (წყალტუბო, 1564,2ძ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ინტერნეტიდან



## თუმცა ქალია მენავე

**ბრიტანელი დი კაფარი ერთადერთი მეიახტე ქალია, იალქნებით სამჯერ რომ შემოუარა დედამიწას. 38 წლის სპორტსმენმა ნავსადგურებში შეუსვლელად ამ ბოლო ჯერზე, ის კი მონაწილეობდა დიდ რბოლაში Barcelona World Race, დედამიწას შემოუარა 102 დღეში, 19 საათში, 17 წუთსა და 18 წამში, ფინიშთან კი მეექვსე იყო.**

პირველად დი კაფარიმ დედამიწა დასავლეთიდან „დაათვალიერა“ 2005 წელს. ამისთვის ის დააჯილდოვეს ბრიტანეთის იმპერიის ორდენით, მეორედ კაფარიმ ჩვენს პლანეტას უკვე აღმოსავლეთიდან შემოუარა 2008-09 წელს. მაშინ ის იყო მსოფლიოში პირველი ქალი, ვინც დედამიწას ორივე მიმართულებით შემოუარა.

## მაურინიუს „იდეალური“ ფინალი

**მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ გუშინწინ, სამეფო კლუბმა ლონდონის „ტოტენჰემი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში განმეორებით მატჩშიც რომ დაამარცხა – 1:0, განაცხადა, რომ ამ გათამაშების იდეალურ ფინალად მიაჩნია მისი გუნდის მატჩი ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედთან“.**

ფინალამდე კი „რეალი“ ნახევარფინალში ორჯერ უნდა შეხვდეს „ბარსელონას “, ინგლისელები კი – გერმანულ „შალკეს“, გათამაშებიდან შარშანდელი ჩემპიონი „ინტერი“ რომ გამოთიშა.



მაურინიუს თქმით, ინგლისელებს უფრო კლასიკური გუნდი აქვთ.

## მარადონას „ოქროს ბურთი“ გადაადნეს

**ეს აღიარა ნეაპოლური მაფიის ერთ-ერთი კლანის წინამძღოლმა სალვატორე ლო რუსომ, პოლიციამ ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის რომ შეიპყრო. მისი თქმით, მისმა ქვეშევრდომებმა მოპარეს „ოქროს ბურთი“ სახელგანთქმულ არგენტინელს, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელს ფიფას ვერსიით 1986 წელს გადაეცა.**

„ოქროს ბურთი“ მოიპარეს საფეხბურთო დიდების მოგზაური მუზეუმიდან, როგორც ლო რუსო ამბობს, მას უნდოდა მარადონასთვის ბურთის დაბრუნება, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგან ის უკვე გადაედნოთ. მაშინ მარადონას მან დაუბრუნა ძვირფას პრიზთან ერთად მოპარული ოთხი ოქროს საათი.

როგორც ცნობილია, მარადონას „ოქროს ბურთი“ გადაეცა მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც არგენტინელმა 22 ივნისს მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრების კარში ერთობ სადავო ბურთი გაიტანა.



პრესის მტკიცებით, ამ მატჩს მარტო სპორტული კი არა, პოლიტიკური საფანელიც ჰქონდა. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე 4 წლით ადრე არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა ფოკლენდის (მალვინისძ კუნძულების გამო. ეს ინციდენტი რომ ახსოვდათ, როგორც ტრიბუნებზე, ისე სტადიონსმიღმა გულშემატკივართა შეჯახებებიც მოხდა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მატჩის მსვლელობისას ინგლისელმა სტივ ხოჯმა უგერგილოდ მიაწოდა ბურთი თავიანთ მეკარე პიტერ შილტონს. მარადონამ, 20 სანტიმეტრით დაბალი რომ იყო მეკარეზე, დაასწრო მას და შილტონზე დაყრდნობით მარცხენა ხელით ბურთი კარში გაუტანა. ეს მოხდა მატჩის 51-ე წუთზე. მსაჯმა ეს დარღვევა ვერ შეამჩნია. არგენტინელებმა გაიმარჯვეს 2:1. ამ გოლზე დღემდე ლაპარაკობენ. მარადონამ მაშინ თქვა: „ეს ღმერთის ხელი იყო!“

◎ დილემა

# ტელევიზია თუ ესპანეთის ნაკრები?



**ძალზე მალე დაიწყო კრიზისი მადრიდის „რეალის“ მცველის სერხიო რამოსსა და მის სატრფოს ლარა ალვარესს შორის.** ურთიერთობის დაწყებიდან ძალიან მალევე რამოსმა თავის გულისვარდს მოსთხოვა სამუშაოს მიტოვება. მაგრამ ტელეარხის La Sexta წამყვანისგან ცივი უარი მიიღო – ლამაზმანი არ აპირებს თავისი კარიერის შეწირვას ესპანეთის ნაკრების მოთამაშისთვის. „მე არ მინდა დიასახლისად ყოფნა“, – უთქვამს მომხიბვლელ ლარას. ახლახან მან დაიწყო ახალი სპორტული პროგრამის გადაცემა და, როგორც მისი ახლობლები ამბობენ, თავ-ფეხიანად ჩაეფლო ამ პროექტში.

ეს წყვილი ერთმანეთს თითქმის ერთი წლის წინათ საქველმოქმედო ღონისძიებაზე შეხვდა. მათი ურთიერთობა ისე სწრაფად განვითარდა, რომ ორი თვის შემდეგ უკვე ერთად ცხოვრობდნენ. ახლა ესპანეთში მათ ახალ „კარბონიალიასებს“ ეძახიან, რაც მომდინარეობს იკერ კასილასისა და მისი სატრფოს სარა კარბონაუროს ურთიერთობიდან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ◉ სამოცდამეათე გაზაფხულს ვულოცავთ თემურ ქევხიშვილს



# ხმა გულისა

**რა ჰქნას, ეგეთია და...**

**მთელი ცხოვრება ბედის უკმაყოფილოა თემურ ქევხიშვილი, არადა, თავად გამოსჭედა ბედი, — ბევრი რომ ინატრებდა, ისეთი... ნიჭით, თავდაუზოგავი შრომითა და წვალებით გამოსჭედა...**

— კაცო, ჯერ იყო და ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მკვიდრს, საშუალო სკოლას რომ ვამთავრებდი, ისტორიაში, ჯინაზე, საშემოდგომო გამომაყოლეს — ორიანი დამიწერეს... დირექტორს ვუყვარდი ძალიან, რადგან ფანდურზე ვუკრავდი და ვმღეროდი... თვითონაც ხელოვანი კაცი იყო — ქისტი — ცათიაშვილი, ილიკო სუხიშვილთან ერთად ვცეკვავდიო, იტყოდა ხოლმე... ვუთხარი, თბილისში, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში რომ მინდოდა შესვლა. სკოლის დამთავრების ცნობას მოგცემო, ატესტატი მოგვიანებით აიღეო...

**— გამოგადგათ მერე ის ცნობა?**

— მაშ... არადა, საშუალო განათლების გარეშე არ იღებდნენ... ძალიან განაწყენებული ვიყავი სოფელზე, მის ინტელიგენციაზე, რა მოხდა ასეთი, ისტორიაში ორიანი როგორ გამომაყოლეს-მეთქი... აღარც ჩავდიოდი იქ, დედაჩემისა და მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ თითქმის აღარ ჩავდივარ...

**— კი, მაგრამ სახლ-კარი?**

— ძმას დავუტოვე... მოგვიანებითაც ათასი წინააღმდეგობა შემხვდა ცხოვრებაში... ერთი, ძალიან გახმაურებული ფაქტის შესახებ, ალბათ, შენც კარგად იცი... ის ხალხი, ვინც მაშინ უკადრებელი იკადრა, დღეს უტეხად მესალმება და, ვითომ, მეგობრობას მეფიცება...

**— მდააა... ისე, უკაცრავად ვარ და, ამას, ყველაფერს საკუთარი ხასიათიც ხომ არ იწვევს? გამიგია, გვარიანი უჟიათიაო...**

— შეიძლება... თუმცა, მე მომწონს, რადგან საკუთარ თავთან მართალი ვარ. ვინც მიცნობს, იმან იცის ჩემი პირდაპირობის შესახებ, არ მიყვარს მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი... მართალია, ცოტას ვუყვარვარ, მაგრამ, სამაგიეროდ, უკან მიხედვისა არ მეშინია...

**— რის შიში, ჩემო ბატონო თემურ... ლეგენდარული ანსამბლი „გორდელა“ თუ ვინმეთი ამაყობდა, ეს იყო თემურ ქევხიშვილი და გომარ სიხარულიძე. არა, ყველანი ერთი-მეორეზე ნიჭიერები იყავით, მაგრამ თქვენი და გომარის სოლო, მაინც გამორჩეული იყო...**

**ანზორ ერქომაიშვილის ნაუბარი:**

— ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველ და უცხოელ მსმენელს ატკბობს თემურ ქევხიშვილის ჯერაც ამოუცნობი, იშვიათი ტემბრითა და ფერადოვნებით გამორჩეული, ძნელად გამოსაცნობი სილამაზის, თითქოს არაამქვეყნიური, მკერდისმიერი უნიკალური ხმა, რომელიც ხან სევდის მომგვრელია, ხანაც — სიხარულის მომნიჭებელი... მან აღზარდა მრავალი თაობა ახალგაზრდა მომღერლებისა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა სცილდება სალოტბარო ხელოვნების ჩვეულებრივ ჩარჩოებს. იგი მისაბაძია თავისი მოსწავლეებისთვის, როგორც მომღერალი, პედაგოგი და ხალხური სიმღერის ძომაგი. იგი ხალხური სიმღერის დასამკვიდრებლად ოსტატურად იყენებდა საინფორმაციო საშუალებებს — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში წლების განმავლობაში უძღვებოდა პოპულარული გადაცემების ციკლს — „შევისწავლოთ ხალხური სიმღერა“, რითაც დიდად შეუწყო ხელი ქართული ხალხური სიმღერების მასობრივ შესწავლას...

თემურმა არაერთი მივიწყებული და დაკარგული სიმღერა მოიძია, ჩაწერა ნოტებზე და „გორდელაში“ მეორე სიცოცხლე შთაბერა. სამაგიეროდ მარტო „ქალგულო“ რად ღირს! თამამად შეიძლება ითქვას: „ქალგულო“ ქართული ხელოვნების იმ შედევრებს შორის დგას, რომელთაც სრულიად გამოხატეს ჩვენი ხალხის ფიქრი, მისი განცდების სიღრმე...

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე თემურ ქევხიშვილმა თბილისში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შექმნა ხალხური სიმღერების გუნდები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა რანგის ოლიმპიადებზე. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, თემურმა, სადაც იგი ამჟამად მუსიკალური ხელმძღვანელია, 25 წლის წინათ ჩამოაყალიბა ბიჭუნათა გუნდები „დარიალი“, „ალიონი“, გოგონათა გუნდი „კესანე“, რომლებიც დიდი სკოლაა მომავალ ფოლკლორისტთა აღზრდისათვის... და ასე რამდენი...

თემურ ქევხიშვილის გამორჩეულ კაცობასა და შემოქმედებას ვლოცავ, ვლოცავ მის 70-ე გაზაფხულს!..

* * *

**— ისე, პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, საკუთარი შემოქმედება ხომ არ შეგიფერხათ?..**

— აბა, რა გითხრა... მომღერალმა უნდა იცოდეს, რა არის მისი სამღერი, როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ისე არ იმღერება... სიმღერა შენს ტემბრს უნდა იყოს მორგებული... ამას ზოგი არ აქცევს ყურადღებას... რაც ჩემ სამღერლად მიმაჩნდა — ვიმღერე, თუ გამოჩნდება რაიმე, რომელიც ჩემი „სარგოა“, კვლავაც ვიმღერებ.

**— მგონი, ახალ ანსამბლს ქმნით...**

— დიახ... ეს იქნება ახალი ფორმის ანსამბლი — ხალხური და კლასიკური მუსიკის სინთეზი... მეტს, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვი, რადგან ჩემი ბედი რომ ვიცი, შეიძლება უცებ ჩამიშალონ ჩანაფიქრი. მე შენ გეტყვი და, ჯერ არ ჩაუშლიათ. საქართველოში მე არ მეგულება კაცი, რომელსაც ჩემდენი ანსამბლი შეექმნას და მოშურნეებს მალევე არ დაეშალოთ... ვნახოთ, რა იქნება ამჯერად... ისე, საინტერესო რაღაც უნდა გამოვიდეს...

**— საქართველოში „ვარსკვლავთცვენაა“ და თქვენი „ვარსკვლავის“ გახსნაზე თუ ფიქრობს ვინმე, თუ მოგიკრავთ ყური?..**

— ვერ გეტყვი... (აქაც, ჩემი ბედი რა ვთქვიძ... ისე, რომ იცოდე (იცინისძ, ცოლი დამპირდა, მე გაგიხსნი „ვარსკვლავს“ შენი მანქანის გარაჟთანო...

ვდგებით, ვემშვიდობებით...

— ცოტა ხანი, ცოტა ხანი... ეგრე ვერ გაგიშვებ, — შემომაგება მოულოდნელად მასპინძელმა. გამოსწია უმალ მაგიდის უჯრა, წელს გამოცემული თავისი სანოტო კრებული მიჩვენა, მერე სასაჩუქრო წარწერა გამოიყვანა ლამაზად და ღიმილით მომაწოდა: — ეს ჩემგან... წინასწარ დიდი მადლობა, რომ შეწუხდი...

**— გაიხარე... ნანახი მაქვს ეს კრებული და არ დაგიმალავ, ძალიან მინდოდა...**

**„ხმა გულისა“ ჰქვია თემურ ქევხიშვილის სანოტო კრებულს, რომელშიც შესულია მუსიკოსის მიერ აღდგენილი და არანჟირებული ხალხური სიმღერები; არანჟირებული ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები; საავტორო სიმღერები. კრებულის წინათქმა ეკუთვნის ანზორ ერქომაიშვილს. თავად განსაჯეთ, ძვირფასო მკითხველო, რა მნიშვნელოვანი შენაძენია თემურ ქევხიშვილის სანოტო კრებული თანამედროვე მომღერალ-ლოტბართათვის, ცხადია, მათგან ბევრი სიმღერა ქართული ანსამბლების რეპერტუარში დამკვიდრდება.**

„ხმა გულისა“... აბა, უკეთეს სათაურს მოვიფიქრებდი? ქევხიშვილის ხმა, მისი ნამღერი ხომ მართლაც გულიდანაა წამოსული?.. ხომ ნამეტანი ქართულია და ჩვენია?... ჰოდა, სათაური ამ წერილისა — ჩვენს განუმეორებელ მომღერალზე, ლოტბარზე, პედაგოგზე, ჩვენი სასიქადულო ფოლკლორის მკვლევარზე... ავდექი და გადმოვიტანე მისივე წიგნიდან. წესით, პლაგიატობაში არ უნდა ჩამეთვალოს.

ვილენ მარდალეიშვილი

## ◉ ინფორმაცია

### „დედაენა“ — კულტურული მემკვიდრეობა



**ორგანიზაცია „მე — უნივერსიტეტელი“ და „დაიცავი საქართველომ“ იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარების დეკლარაციაზე მოაწერეს ხელი.**

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, როგორც სწავლების უნიკალური მეთოდი საფრთხის წინაშეა, სწორედ ამიტომ „მე ვარ უნივერსიტეტელი“ და „დაიცავი საქართველო“ იწყებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს, რათა მიმართონ იუნესკოს „დედაენის“ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებისთვის, — აცხადებენ დეკლარაციაზე ხელის მომწერნი.

მათი თქმით, ქართველ მეცნიერთა აღიარებით, იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართული კულტურის ისტორიაში არის აღმოჩენა, ეპოქალური მიგნება, უნიკალური მეთოდი.

2003 წელს მიღებული საერთაშორისო კონვენცია „არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ, გვეუბნება, — რადგან ხალხია უფლებამოსილი, რომ ტრადიციები და პრაქტიკა საკუთარ მემკვიდრეობად აღიაროს, ქართულმა საზოგადოებამ დეკლარაციაზე ხელმოწერით უნდა გამოხატოს ნება, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ გამოცხადდეს კულტურულ მემკვიდრეობად. 2007 წელს საქართველომ ასევე მიიღო კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც ასევე ითვალისწინებს არამატერიალური კულტურული ძეგლის დაცვას.

ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყო ბათუმის უნივერსიტეტში, ქუთაისში და თელავში, გუშინ კი საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და გაგრძელდება ქვეყნის მასშტაბით.

ჯი-ეიჩ-ენი


**მომხმარებელთა საყურადღებოდ!**

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“

**განცხადება**

**თამაშის შეწყვეტის თაობაზე**

მომენტალური გათამაშების ლატარიის წესების თანახმად, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ აცხადებს, რომ 2011 წლის 15 აპრილიდან შეწყდა მომენტალური ლატარიის თამაში №001, სახელწოდებით „იღბლიანი შვიდიანი — პირველი ვერსია“, მომენტალური ლატარიის თამაში №002, სახელწოდებით „სამი სურვილი“, მომენტალური ლატარიის თამაში №004, სახელწოდებით „ბლეკ ჯეკი — პირველი ვერსია“.

აღნიშნული თამაშის ლატარიის ბილეთებზე დატანილი წესების თანახმად მოგებახვედრილი ბილეთების განაღდება უნდა მოხდეს თამაშის შეწყვეტის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 180 დღის განმავლობაში. შესაბამისად, მომენტალური ლატარიის თამაშის №001, №002 და №004 მოგებახვედრილ ბილეთებზე მოგება არ გაიცემა 2011 წლის 13 ოქტომბრიდან.

**რეალიზატორთა საყურადღებოდ!**

რეალიზატორთა მიერ 2011 წლის 11 ოქტომბრის შემდეგ, მომენტალური ლატარიის თამაშის №001, №002, №004, მოგებახვედრილი ბილეთების განაღდების შემთხვევაში, რეალიზატორის მიერ მოგების სახით გაცემული თანხა შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მიერ არ ანაზღაურდება.


საზოგადოება „ლეჩხუმი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ჯემალ კუხალაშვილის ოჯახს სიძის

მამუკა ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ნომრის კარიკატურა



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ჩვენი კარაბადინი

# პარაცეტამოლი

## როდესაც გრიპისა და გაციების მკურნალობა სასიკვდილოდ სახიფათოა



**გრიპის დროს გამოყენებული წამლების უდიდეს უმრავლესობაში არის პარაცეტამოლი. ამბობენ, რომ სწორი მიღების დროს ის უსაფრთხოა. მაგრამ მარტივია განა მისით სწორად მკურნალობა?**

### გადარჩენის მეცნიერება

ეს ნამდვილი მეცნიერებაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას მოსახლეობას ასწავლიან უკვე 13 წელიწადია. მას შემდეგ, რაც შენიშნეს, რომ ღვიძლის ყველა გადანერგვის ნახევარზე მეტი გამოწვეულია პარაცეტამოლის გადაჭარბებული დოზირებით. ამ წლების განმავლობაში მოეწყო რამდენიმე ეროვნული საინფორმაციო კამპანია პარაცეტამოლის შემცველი პრეპარატებით სწორ მკურნალობასთან დაკავშირებით, ხოლო წამლის ინსტრუქციასა და შეფუთვაში შეტანილია ყველა გაფრთხილება ხიფათის შესახებ (ისინი დიდი ასოებითაც კია გამოყოფილი). განსაკუთრებით მშობლებს ასწავლიან. მათ სთხოვენ აწარმოონ დაწვრილებითი ცხრილი ბავშვების მიერ ყველა პრეპარატის მიღების გრაფიკით, რომელიც უნდა უჩვენონ ექიმს ვიზიტის დროს, — რომ არ აღმოჩნდეს ისე, რომ ბავშვი აჭარბებს დოზას ანდა ერთბაშად ღებულობს რამდენიმე წამალს პარაცეტამოლით. გავიდა რამდენიმე წელი, მაგრამ ღვიძლის გადანერგვის უმრავლესობა ძველებურად არის დაკავშირებული პარაცეტამოლთან...

უკანასკნელი ნოვაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს სწორედ ამ დღეებში. პროდუქტებისა და წამლების სამმართველომ მოითხოვა შეამცირონ პარაცეტამოლის ზონა კოდეინისა და სხვა მსგავსი ნარკოტიკული კომპონენტების შემცველ კომპლექსურ პრეპარატებში 325 მილიგრამამდე ერთ აბში. შედარებისთვის: ჯერ ერთი, ჩვენთან ასეთი პრეპარატები კოდეინით ჩვეულებრივად შეიცავს უფრო მეტ პარაცეტამოლს, მეორეც, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ისინი თითქმის ყველგან ოფიციალურად იყიდება ურეცეპტოდ. როგორც წესი, ეს არის ტკივილგამაყუჩებელი ან ხველების საწინააღმდეგო წამლები: მათში არსებული კოდეინიც ასუსტებს ტკივილს და თრგუნავს ხველებასაც.

წამლების მეორე ჯგუფი პარაცეტამოლით — ეს არის ეგრეთ წოდებული მარტივი ანალგეტიკები და ტემპერატურის დამწევი საშუალებები. მათში შეიძლება იყოს ან ერთი ეს ნივთიერება, ჩვეულებრივად დოზით 0,5-დან 1 გრამამდე (მაქსიმალური ერთჯერადი დოზა), ან დამატებით კოფეინის ტიპისა, რაც აძლიერებს მის მოქმედებას.

მესამე ჯგუფია — კომბინირებული პრეპარატები აქტიურ ნივთიერებათა დიდი ოდენობით. მათ შეიძლება მოხსნან ცხვირის გატენვა, შეამსუბუქონ ყელის ტკივილი, შეასუსტონ ხველება ან, რეკლამის ენით რომ ვილაპარაკოთ, ისინი „უსწორდებიან გრიპისა და გაციების ყველა სიმპტომს ერთბაშად“.

გრიპისა და გაციების საწინააღმდეგო ყველაზე მრავალფეროვან პრეპარატებში პარაცეტამოლის ასეთი არსებობა — მისი დოზის გადაჭარბების მთავარი მიზეზია. ავადმყოფი ჯერ იგდებს ტემპერატურას უბრალოდ პარაცეტამოლით, შემდეგ ღებულობს „ყელისა და სურდოს“ წამლად, რომელიც ასევე შეიცავს ამავე ნივთიერებას, შემდეგ კიდევ რაღაცას იმავე სერიიდან... და ვინაიდან ამ ნივთიერებას სამკურნალო და ტოქსიკურ დოზას შორის სხვაობა გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე სხვა წამლებს, ძალიან დიდია დოზის გადაჭარბების რისკიც.

„შავ“ საქმეს აკეთებს სისუსტეც პარაცეტამოლისა, რომლის ერთჯერადი სამკურნალო დოზა მთელ გრამს შეადგენს. აი, ავადმყოფი განსაკუთრებული წარმატების მიუღწევლად შეეცდება მაღალი ტემპერატურის დაგდებას ამ დოზით (გრიპის დროს ჩვეულებრივი ტაქტიკაა, განსაკუთრებით ისეთი სიმწვავისას, როგორიც ამჟამინდელ სეზონში იყო — არ უშველა. თავბრუდახვეული ის იღებს სულ ახალ და ახალ აბებს... და დიდი ალბათობით, ეს კვლავ იქნება წამლები პარაცეტამოლით.

ანდა ავიღოთ სხვა ვარიანტი: პარაცეტამოლი ზოგჯერ სუპერტოქსიკური ხდება ალკოჰოლის ზომიერი მიღების დოზის დროსაც კი, რომელსაც მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ, როგორც 3 „დრენს“ (ინგლისური სიტყვაა და „გამოცლას“ ნიშნავს), ანუ 100 გრამ არაყზე ნაკლებს ან 3 ბოკალ მშრალ ღვინოს.

### რა ვქნათ?

პარაცეტამოლის განსაკუთრებული საშიშროება არის ის, რომ ღვიძლის დაშლა ვითარდება შეუმჩნევლად, პირველი სიმპტომები ჩნდება 1-2 დღის შემდეგ. მკურნალობა უნდა დავიწყოთ დოზის გადამეტებიდან სულ ცოტა 12-18 საათის შემდეგ. მერე უკვე გვიანი იქნება. ამიტომ ამერიკელები გვირჩევენ შევწყვიტოთ პარაცეტამოლის ახალი დოზების მიღება დოზის გადაჭარბების უმცირესი რისკის დროს:

— მაშინაც, თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ მიიღეთ პარაცეტამოლი უფრო მეტი, ვიდრე შეიძლება, უბრალოდ შეგეშალათ (გრიპის დროს, როდესაც გონება ოდნავ დაბინდულია, ეს იოლია);

— ალერგიის დროს (სახის შეშუპება, ქოშინი, ქავილი, კანის გაწითლება). ასეთ შემთხვევებში გვირჩევენ სასწრაფოდ მივმართოთ ექიმს.

ნანა თედიაშვილი

**სხვათა შორის**

- **მოზრდილებმა უმჯობესია დაიგდონ ტემპერატურა აცეტილსალიცინის მჟავიანი პრეპარატებით და იბუპროფენით, ბავშვებმა — მხოლოდ იბუპროფენით. კომპლექსური წამლების ნაცვლად გამოიყენეთ ცალკე პრეპარატები — სურდოს, ხველების, ყელის ტკივილისა და ა.შ. წინააღმდეგ. სურდო იმკურნალეთ ფხვნილებითა და წვეთებით, და არა აბებით.**
- **მკაცრად დაიცავით დოზირება**
- **ნურასოდეს შეუხამებთ ერთმანეთს პარაცეტამოლსა და ალკოჰოლს**
- **არასოდეს მიიღოთ ერთდროულად ერთზე მეტი წამალი პარაცეტამოლით**
- **ინსტრუქციაში გულდასმით შეისწავლეთ შემადგენლობა, რომ თავიდან ავიცილოთ ერთბაშად რამდენიმე წამლის მიღება ამ ნივთიერებით (ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ ოჯახურ აფთიაქში ნუ იქონიებთ საერთოდ ორ სხვადასხვა პრეპარატს პარაცეტამოლით).**

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- რუსეთიდან გაქცევის შემდეგ ნაპოლეონი მდინარე ნემანზე ადგილობრივმა გლეხმა გადაიყვანა. „ბევრი დეზერტირი გადავიდა ამ მდინარეზე?“ — ჰკითხა მას იმპერატორმა, გლეხმა კი უპასუხა: „თქვენ პირველი ხართ“.
- საბერძნეთში ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე, მოქალაქე მშვილ-ისრით სროლაში ვარჯიშობდა. იგი ცუდი მსროლელი იყო და მისი ნასროლი ისრები გამვლელებს ხვდებოდა, ხოლო ბრძენი დიოგენე საფრთხის თავიდან ასაცილებლად პირდაპირ სამიზნესთან მოკალათდა.
- პლატონის ნამდვილი სახელი არისტოკლე გახლდათ. მეტსახელი „პლატონი“ რაც განიერს ნიშნავს, ფართო მხარბეჭის გამო მას ტანვარჯიშის მასწავლებელმა შეარქვა.
- გალილეიმ თავის ტელესკოპს პერსპექტივა უწოდა.
- შვიდწლიანი ომის დროს პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდს გულის ჯიბეში ჩადებულ ოქროს პორტსიგარში მოხვდა ტყვია და სიკვდილს გადაარჩინა.
- პლატონის ფილოსოფიურ სკოლას ამშვენებდა წარწერა: „ვინც გეომეტრია არ იცის, აქ ნუ შემოვა!“.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

ანეკდოტები

მექრთამეს ასამართლებენ.

— ბრალდებულო, თუ გულწრფელად აღიარებთ, სად დამალეთ მოპარული ფული, სასამართლო საგრძნობლად შეგიმსუბუქებთ სასჯელს.

— მაგრამ ეს, უფალო მოსამართლევ, ხომ წმინდა წყლის გამოძალვაა.

* * *

მიხომ დიდი წვალებით ააწყო ნაყიდი ტანსაცმლის კარადა.

— ბიჭო, ბოლომდე და კარგად არ გაქვს ყველაფერი გაკეთებული, ხომ იცი, — ეუბნება ნიკა, — ქვედა უჯრას რომ გამოაღებ, შუა უჯრის კარი პირდაპირ თავში გხვდება კაცს...

— ყველაფერი კარგად და სწორადაა გაკეთებული, ქვედა უჯრა ჩემი სიდედრისაა.

* * *

დაბრუნდა პეტკა სამსახურიდან. ცოლმა სუფრა გაუშალა.

დაურტყა პეტკამ ასი გრამი. ნეტარებაშია, არაყს სოკოს აყოლებს და თან ცოლს აქებს:

— ზინოჩკა, რა გემრიელია! სად გქონდა რეცეპტი?

— წიგნში ამოვიკითხე.

— კულინარიულში ხომ?

— არა, კრიმინალისტურში!

* * *

ქალი მივიდა სამოთხის კარებთან. მას მოციქული პეტრე შეეგება.



ესაუბრება ქალი მოციქულს და უცებ გულის განმგმირავი ბღავილი ესმის.

— რა მოხდა? — კითხულობს შეშინებული ქალი.

— არაფერია, ნუ შეშფოთდებით! — ეუბნება პეტრე, — უბრალოდ ახალმიღებულის თავის ქალაში ნახვრეტს აკეთებენ შარავანდედისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ისმის საშინელი ღავილი.

— ეს რა არის?

— არაფერია, ნუ ნერვიულობთ! უბრალოდ, სამოთხეში ახალმიღებულებს მხარზე ნახვრეტებს უკეთებენ ფრთებისთვის.

ქალი ნელ-ნელა იხევს უკან.

— სად მიდიხართ? — ეკითხება გაკვირვებული პეტრე.

— ჯობია ქვევით ჩავიდე, ჯოჯოხეთში.

— რას ამბობთ, იქ ხომ თქვენზე ძალას იხმარენ, გაგაუპატიურებენ!

— არა უშავს. ყოველ შემთხვევაში ამისთვის საჭირო ნახვრეტები მაქვს.

* * *

ზის ჩინოვნიკი კაბინეტში, სახაზავით მაგიდაზე დაფრენილ ბუზებს კლავს.

უცებ ერთი ბუზი ადამიანის ხმით ალაპარაკდება:

— არ მომკლა და სამ სურვილს შეგისრულებ!

— მინდა, რომ ზღვასთან ვცხოვრობდე, საკუთარ ვილაში!

ბახ და, ზის ზღვის პირას აშენებული ვილის აივანზე.

— მინდა, რომ ბევრი ქალი მეხვიოს გარს!

ბახ და, ულამაზესი ქალების გარემოცვაშია.

— მინდა, რომ კარგად ვცხოვრობდე და არაფერს ვაკეთებდე!

ბახ და, ზის კაბინეტში და სახაზავით მაგიდაზე დაფრენილ ბუზებს კლავს.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24